საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქიზებით და ჯიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა ეკალისიბაზე ესაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 13-14 ივლისი. 2022 წ. №91-92 (9429-9430) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

დღის მთავარი თემა

როგორ ჩააყენა ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიცია გამოუვალ მდგომარეობაში...

ირაკლი ღარიბაშვილის საგანგებო განცხადება

საზოგადოების წინაშე თავს ვალდებულად მივიჩნევ, გამოვეხმაურო ჩვენი შიდა თუ გარე პოლიტიკური ოპონენტების მიერ აგორებულ კამპანიას ე.წ. დეოლიგარქიზაციის შესახებ, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს ყოვლად დაუსაბუთებელ ბრალდებას ბიძინა ივანიშვილის მიმართ და, მეორე მხრივ, საქართველოში მოქმედი მმართველობის სისტემის დისკრედიტირებას ისახავს მიზნად.

რადგან პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის ჩართულობის არავითარი ფაქტი არა აქვთ, ე.წ. ოლიგარქიული მმართველობის მთავარ „მტკიცებულებად“ იმ გარემოებაზე მიუთითებენ ხოლმე, რომ მე და ჩვენი პოლიტიკური გუნდის რამდენიმე მოწინავე წევრი პოლიტიკაში სწორედ მისი ლიდერობით მოვედით.

პირველ რიგში, გავიხსენებ, რომ „ქართუ ჯგუფში“ ღია კონკურსის გზით მოვხვდი და ბიძინა ივანიშვილიც სწორედ ასე გავიცანი. ბუნებრივია, როგორც „ქართუს“ საქველმოქმედო ფონდის დირექტორს, მასთან მჭიდრო ურთიერთობა მქონდა. მაშინ დამყარდა მეგობრული ურთიერთობაც ბიძინა ივანიშვილის ოჯახსა და ჩემს ოჯახს შორის, რითაც მთელი ჩემი ოჯახი განსაკუთრებულად ამაყობს. ასევე, განსაკუთრებულად ვამაყობ ბერასთან ჩემი პირადი მეგობრობით. საზოგადოებას მინდა განვუმარტო, რომ ამ ურთიერთობების გათვალისწინებით, ჩვენს ოჯახებს აქვთ პერიოდული კომუნიკაცია ერთმანეთთან. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, ჩემმა მეუღლემ მიიღო რჩევები ბიძინა ივანიშვილის მეუღლისგან გარკვეულ სამედიცინო საკითხთან დაკავშირებით. მსგავსი კომუნიკაცია ბიძინა ივანიშვილთან პერიოდულად მეც რომ მქონდეს, ბუნებრივია, ვერც ამაში იქნება რაიმე დასაძრახი.

როდესაც 2011 წელს ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გააკეთა განცხადება, ერთი წამით არ მიყოყმანია. რა თქმა უნდა, ჩემს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული რისკები იმთავითვე მქონდა გააზრებული. თუმცა, არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მიმართ ჩემი დამოკიდებულების გამო, არამედ ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, ყოველგვარი ზედმეტი ფიქრის გარეშე გადავწყვიტე, დემოკრატიული გარდატეხისთვის ბრძოლაში აქტიურად ჩავრთულიყავი.

რა თქმა უნდა, ჩემ გარდა, ამ ბრძოლაში „ქართუ ჯგუფის“ უამრავი სხვა წარმომადგენელიც ჩაერთო, რომელთა ნაწილი დღესაც ჩვენი პოლიტიკური გუნდის აქტიური წევრია. მუქარითა და ზეწოლით არა მხოლოდ ჩვენს გაჩერებას, არამედ „ქართუს“ სტრუქტურების დაშლასაც კი ცდილობდნენ. თუმცა, გუნდმა ბოლომდე იბრძოლა, ზეწოლას გაუძლო და მოძალადე რეჟიმი დაამარცხა.

იხ. 3 გვ.

იაკობ ლეჟავა

ნაციონალური მოძრაობა, როგორც კართაგენი, უნდა დაინგრეს!

არა – ევროკავშირს, არა – ნატოს! რატომ ასე გადაჭრით, ასე კატეგორიულად? მიზეზები ბევრია, ძალიან ბევრი! იმიტომ, რომ:

გვეყო 30 წელი „გაზაფხულზე იონჯას მომლოდინე ვირის როლში ყოფნა“! ორივე ორგანიზაცია ერთნაირი სცენარით გვაცუმბუშებს და როგორც მიუხვედრელ პატარა ბავშვებს ისე გვექცევა, ისე „გვაბამს“ ლამაზ-ლამაზი დაპირებებით: „მიგიღებთ, როგორ არ მიგიღებთ ჩვენს რიგებში, თქვენისთანა კარგი – ამისთანა და იმისთანა ქვეყნისთვის ჩვენი კარი მუდამ ღიაა, ოღონდ ჯერ საშინაო დავალებებს მოგცემთ და თუ კარგად შეასრულებთ („საშემოდგომო“ არ გამოგყვებათ), მერე ვნახოთ, ესა და ეს კანონი უნდა მიიღოთ, ესა და ეს რეფორმა გაატაროთ, კონსტიტუციაში ის ცვლილებები უნდა შეიტანოთ, რომელსაც ჩვენ გეტყვით, ამაზე და ამაზე უარი უნდა თქვათ, ყველა ჩვენ წამოწყებას უსიტყვოდ მხარი უნდა დაუჭიროთ, ზოგიერთ სახელმწიფოს გაებუტოთ და როცა განიშნებთ – ეომოთ კიდეც. იმისათვის, რათა არ მოდუნდეთ, გზადაგზა ახალ-ახალ დავალებებსაც არ მოგაკლებთ და ყველაფრისთვის მზად უნდა იყოთ“!

ზოგადად, ასეთია მიზეზთა არსი, ახლა კი უფრო დავკონკრეტდები:

ნებისმიერი, მით უფრო, საერთაშორისო ხელშეკრულების დადების დროს ხელმომწერ მხარეებს ზუსტად აქვთ თავთავიანთი უფლება-მოვალეობა განსაზღვრული, მითითებულია მოქმედების ვადები და სხვა დეტალებიც. ჩვენ კი, წლების მანძილზე „ნატო – ნატოს და ევროპა – ევროპას“ ისე გულმოდგინედ გავიძახოდით, თითქოს (ასე გვიჭედავდნენ თავში!) ნატო იყო ჩვენი მხსნელი და გამაერთიანებელი, ხოლო ევროპა – სიდუხჭირიდან ამომყვან-ამშენებელი, გვეგონა (ბევრს ახლაც ჰგონია!), რომ მხოლოდ იქ შესვლით გავკეთდებოდით და, ამიტომ, ამ ორგანიზაციებში მისაღებ პირობებს არც კი ვკითხულობდით, სარგებელი, თანაც ძალიან დიდი რომ გვექნებოდა, ამაში ეჭვის შეტანა სირცხვილიც კი იყო – ამით საკუთარ „ჩამორჩენილობას“ გამოამჟღავნებდი მხოლოდ. ძალიან გვიან, როგორც იქნა, რეალობამ აგვიხილა თვალები, თუმცა, სამწუხაროდ, დღესაც არ ვიცით, თუ რაზე გვითანხმებენ (ევროკავშირის მოთხოვნები გასაიდუმლოებულ 369 კითხვარშია ჩადებული!), რა სარგებელი გვექნება კონკრეტულად(!) ნატოში ან ევროკავშირში გაწევრებისგან, ვალდებულებებთან ერთად რა უფლებები გვექნება (გვექნება კი, საერთოდ?!) და იქიდან გამოსვლა რამდენად შესაძლებელი იქნება (ბრიტანეთის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ეს არც ისე ადვილად გასავლელი პროცედურაა). განა შეიძლება რომელიმე გართიანებაში ისე დურთო თავი, რომ პირობები – მხარეების უფლება-მოვალეობანი არ იყოს ცნობილი?! ეს ხომ სიგიჟეა! აჰ, ხელისუფლებამ იცის ყველაფერი და ხალხი მაინც ვერ მიხვდება?!

იხ. 6 გვ.

8



5

რუსების მიერ მიჩქმალული 27 წლის ქართველი გენეტიკოსი

„ბერმუხა“ საქართველოს სიამაყეა!

7

შალვა პაპუაშვილი: ტერმინ „დეოლიგარქიზაციის“ გამოყენებით, საქართველოზე, როგორც სახელმწიფოზე, შტურმი ხდება!

პარლამენტის თავმჯდომარემ პრემიერ-მინისტრის წერილი შეაფასა. შალვა პაპუაშვილი ამბობს, რომ ეს მნიშვნელოვანი და დროული მიმართვა იყო. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, დეოლიგარქიზაციის ტერმინის გამოყენებით, ხდება შტურმი საქართველოზე.

„ტერმინ „დეოლიგარქიზაციის“ გამოყენებით, საქართველოზე, როგორც სახელმწიფოზე შტურმი ხდება. სულ რამდენიმე დღის წინ, ჩვენ მოვისმინეთ განმარტება, მათ შორის, საქართველოში ევროკავშირის ელჩისგან, რომ ამ ტერმინში იგულისხმება, ზოგადად, ეკონომიკური გავლების ან შესაძლებლობების მქონე ადამიანების გავლენის ან კონტროლის შემცირება ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზე. ეს, თავის თავში, გულისხმობს არა ინდივიდუალურ ადამიანებს, არამედ — უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციების გაძლიერებას. ვინც ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქია, ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება, სინამდვილეში, სხვა ადამიანის მიერ იმართება. ეს ქართული დემოკრატიის პირდაპირი შეურაცხყოფაა“, — განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ოპოზიცია ისევ ქარის წისქვილებს ებრძვის!

ეს არის უბრალოდ ქარის წისქვილთან ბრძოლა, რასაც ახლა აწარმოებს ოპოზიცია. ეს არის უბრალოდ სურვილი, რომ დღის წესრიგში დარჩნენ რაღაც თემით, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილმა გუშინ განაცხადა.

„პარლამენტი მუშაობს, სხდომები ტარდება, ყველა თემასთან დაკავშირებით ჯგუფები იქმნება და მიდის მუშაობა. სხვა ვერც კი ვხვდები რაზე საუბრობენ — რიგგარეშე სხდომა რომ მოიწვიონ, იმ სხდომაზე რა უნდა მოხდეს? პარლამენტის რიგგარეშე სხდომა არ არის სახალხო თავყრილობა, სადაც ადამიანები შეიკრიბებიან, ადგილზე იდეებს განავითარებენ და შემდეგ კანონებად აქცევენ“, — განაცხადა პაპუაშვილმა.

პარლამენტში, ევროკომისიის რეკომენდაციების 12 პუნქტის შესრულებაზე მუშაობა მიმდინარეობს. რადიკალური ოპოზიცია კი, ევროპას ისევ ბოიკოტს უცხადებს. „ნაციონალური მოძრაობა“, „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“ სამუშაო ჯგუფების მუშაობაში არ ერთვებიან, თუმცა ვერც ალტერნატიულ გეგმაზე ჩამოყალიბდნენ.

ბოდბელი ეპისკოპოსი ევროპარლამენტარებს აკრიტიკებს!

მეუფე იაკობმა, კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების პროცესზე ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ ევროპა საქართველოს სამარცხვინოდ მოექცა. ბოდბელმა ეპისკოპოსმა ევროპის ქვეყნები ამბიონიდანაც გააკრიტიკა, ასევე, ისაუბრა ომზეც. მან საქართველოს წინააღმდეგ უკრაინის ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების განცხადებაპაც გაიხსენა.



...ჩვენთან მიმართებით, ევროპა ძალიან სამარცხვინოდ, მოღალატეობრივად მოიქცა. ევროპა რომ მართალი იყოს, ახლა, როდესაც (რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები) საპარლამენტო დებატებზე უარს ამბობენ, გამოვიდოდა ის ღრმად პატივცემული 308 ევროპარლამენტარი და იქიდან 10 მაინც, საერთო წერილს დაწერდა და იტყოდა, „იქნებ, ერთად დასხდეთ და სიტუაცია დავაწყნაროთ“. უკრაინის გარდა, არავის მიღება არ უნდოდათ. ეგ თემა, ჩვენთან, უბრალოდ, პოლიტიკური ტემპერატურის ასაწევად გამოიყენეს ბოლომდე, — განაცხადა მიტროპოლიტმა.

მამუკა მდინარაძე: ყველა ჯერზე ქართული საზოგადოება ამტკიცებს, რომ დგას იქ, სადაც სიმართლეა!

უპრეცედენტო საინფორმაციო ომში, რომელიც ცალკე ივანიშვილის და ცალკე საქართველოს წინააღმდეგ მომდინარეობს, სიმართლის გამარჯვებას უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს, — ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მამუკა მდინარაძე** სოციალურ ქსელში წერს.

...დიახ, განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის მიმართ. გასაკვირი ის იქნებოდა, სხვანაირად რომ ყოფილიყო. დამოკიდებულებასაც თავი რომ დავანებოთ, უპრეცედენტო საინფორმაციო ომში, რომელიც ცალკე ივანიშვილის და ცალკე საქართველოს წინააღმდეგ მომდინარეობს, სიმართლის გამარჯვებას უდიდესი პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან, გამორიცხული და შეუძლებელია დავუშვათ ფილანთროპი — მიზანთროპად და ოლიგარქად, სიკეთე — ბოროტებად, დემოკრატია — ავტორიტარიზმად, პერსპექტივა — უიმედობად, წარმატებული ქართული სახელმწიფო — მაჩანჩალად, ძლიერი ქართული და ამაყი ჯარი — მკვდარზე აკიდებულ მკვდრად და ბევრი რომ არ გავაგრძელო, თეთრი შავად შეასაღონ ქართველ და საერთაშორისო საზოგადოებას. თეორიულად რომ დავუშვათ — ეს თუ გაიტანეს, როგორღა უნდა დავიცვათ სიმართლე სხვა მიმდინარე, ყოველდღიურ თემებში?! არ შეიძლება, ქართველ ხალხზე გქონდეს წარმოდგენა, რომ მას არ შეუძლია, გაარჩიოს ეს ყველაფერი ერთმანეთისგან, ან არ დააფასოს დასაფასებელი და ასე მარტივად გახდეს ყოვლად ამორალური ფეიკპროპაგანდის მსხვერპლი! საბედნიეროდ, ყველა ჯერზე, ქართველი საზოგადოება ამტკიცებს, რომ ის დგას იქ, სადაც სიმართლე, სიკეთე, საკუთარ სამშობლოზე ზრუნვა, რწმენა და ამ ქვეყნის ღირსეული, თავისუფალი, სამართლიანი და ევროპული მომავალია, — წერს მამუკა მდინარაძე.

იან კელი ისევ იმუქრება

საქართველოში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი იან კელი ტელეკომპანია „ფორმულასთან“ ინტერვიუში კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ კრემლისტურ ნარატივს, თითქოს აშშ საქართველოს ომში ჩათრევას ცდილობს.

„ძალიან შემაშფოთებელი მოვლენების განვითარებაა — მმართველ პარტიაში ხელმძღვანელი პირები აბრალებენ აშშ-ის ელჩს ისეთ რაღაცას, რაც არის სიყალბე. აშშ არც ერთი ფორმით არ ცდილობს საქართველო ჩაითრიოს უკრაინის ომში. ეს გახლავთ მარტივად — სიყალბე. მე სრულიად ვუჭერ მხარს ჩემს მეგობარ ელჩ დეგნანს მ და ვცდილობ უარვყო, რომ აშშ-ს გააჩნია რაღაც მსგავსი განზრახვა...

თუ საქართველოს მთავრობა დაიწყებს ისეთ მოძრაობას, რომელიც შეეწინააღმდეგება აშშ-ის ინტერესებს, დაეხმაროს საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, მას დახვდება ძალიან ნეგატიური შედეგები“, — ამბობს იან კელი.

როგორ მუშაობს მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონი?

მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონი თვეზე მეტია ამოქმედდა — როგორ მუშაობს ქართულ რეალობაში ევროპული სტანდარტის კანონი? როგორია მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარანტიები — ამ და სხვა თემებზე საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ირაკლი ლექვინაძემ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ბიზნესი და სამართალი ნინო ლიპარტიასთან ერთად“ ისაუბრა.

როგორც ლექვინაძე ამბობს, კანონი უზრუნველყოფს მოვაჭრის კეთილსინდისიერებას და მის მომზადებას იმისთვის, რომ ევროპაში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს მოერგოს. კანონის აღსრულების ნაწილი ძალაში შევა 2022 წლის 1 ნოემბრიდან (შესაბამისად ეს კანონი ვრცელდება 1 ივნისის მერე დაშვებულ დარღვევებზე) და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო იქნება ის უწყება, რომელიც განიხილავს მომხმარებელთა საჩივრებს და დაიცავს მათ უფლებებს.

„თითოეული მოვაჭრე, იქნება ეს ონლაინ სივრცეში, თუ ფიზიკურ სივრცეში, ვალდებული იქნება, რომ მომხმარებელს სრული ინსტრუქცია სახელმწიფო ენაზე მიაწოდოს, სადაც პროდუქტზე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში გაწერილი იქნება დაბრუნების პირობები და სხვა დეტალები. ეს ეხება აბსოლუტურად ყველა მომხმარებელს და ყველა მოვაჭრეს, განსაკუთრებით კი ეს ეხება ონლაინ ვაჭრობას, როდესაც მომხმარებელს არ აქვს იმის საშუალება, რომ ფიზიკურად შეეხოს და პროდუქტი ყიდვამდე შეამოწმოს. აღნიშნული კანონი მხოლოდ ადგილობრივ პლატფორმებზე ვრცელდება და არა საერთაშორისოზე“, — აღნიშნა ირაკლი ლექვინაძემ.

კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ამ კანონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი დისტანციური ხელშეკრულებებია. მოუწესრიგებელი და ბუნდოვანი ნაწილიდან კანონმა შექმნა გარანტიები, რომელიც მომხმარებელთა უფლებებს დაიცავს. ხშირია შემთხვევები, როდესაც პროდუქტი ვიზუალურად ჩანს ერთი და მომხმარებელი იღებს სრულიად სხვა ნივთს, როგორც ლექვინაძე აღნიშნავს, ამ შემთხვევაში ნივთი ექვემდებარება 14 დღის ვადაში უპირობო დაბრუნებას, თუმცა ლექვინაძე აქვე განმარტავს, რომ თუ ნივთს მოხმარების კვალი დაეტყობა, აქ შეიძლება განიხილებოდეს ფასდაკლებით დაბრუნების საკითხიც. აღსანიშნავია ისიც, რომ დაბრუნება არ ვრცელდება მალფუჭებად და სპეციალური პირობებით დაცულ პროდუქციაზე.

„ამ კანონის მნიშვნელოვანი ნაწილია ასევე უსამართლო კომერციული პრაქტიკის რეგულირება და კარგია, რომ ეს აღნიშნული კანონმდებლობით იქნება დარეგულირებული. როდესაც განაცხადების მიღებას დავიწყებთ, ჩვენი აღსრულების პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილი უსამართლო კომერციულ პრაქტიკაზე რეაგირებაც იქნება. კანონი ასევე ითვალისწინებს სავაჭრო ობიექტს გარეთ დადებულ ხელშეკრულებასაც, როგორიც არის ე.წ. ქუჩაში დადებული გარიგება.

აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით დადგენილია ვადები, თუ როგორ და რა ვადაში უნდა მოხდეს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოსთვის მიმართვა. 10 დღის ვადაში სააგენტო განიხილავს მომხმარებლის განაცხადის დაშვებადობას, იმის მიხედვით, საკმარისი მტკიცებულებები იქნება წარმოდგენილი, თუ არა. შემდეგ გვაქვს ერთი თვის ვადა, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება გამოვიტანოთ. თუ საქმე ეხება ისეთ შემთხვევას, როცა ექსპერტიზაა საჭირო, ასეთ შემთხვევაში შეაძლოა, რომ მოკვლევის პროცესი 3 თვემდე გაგრძელდეს. დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია გაფრთხილების მექანიზმი და მოვაჭრისთვის რეკომენდაციის გაცემა ზარალის ანაზღაურების ან ნივთის უკან დაბრუნების თაობაზე. თუ ეს არ მოხდა, დაწესებულია საკმაოდ სოლიდური ჯარიმა, რომელიც შეადგენს წინა წლის ფინანსური ბრუნვის დაახლოებით 2%“, — აღნიშნა ირაკლი ლექვინაძემ.

ლექვინაძის თქმით აღნიშნული კანონის მეშვეობით, ყველა ნივთს აქვს 2-წლიანი გარანტია, მისივე განმარტებით მსგავსი ტიპის რეგულაცია ბიზნესისთვის საკმაოდ მძიმე ტვირთი და ხარჯია, თუმცა ეს ევროპული სტანდარტია.

„სხვათა შორის მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ტანსაცმლის ინდუსტრიის ნაწილში, ასევე ტექნიკის მეორადი, უკან დაბრუნებული ბაზარი საკმაოდ სოლიდური მოცულობით არის. მას შემდეგ, რაც კანონის აღსრულება მოხდება, ალბათ საქართველოს ბაზარიც გადაეწყობა“, — აღნიშნა ირაკლი ლექვინაძემ. მომხმარებელს კონკურენციის სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდება ცხელი ხაზის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეუძლია, უახლოეს პერიოდში დაემატება ონლაინ განაცხადის ფორმაც.

მოამზადა
თაკო კვაჭანტირაძემ

როგორ ჩააყენა ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიცია გამოუვალ (პატურ) მდგომარეობაში...

(პირველი გვერდიდან)

იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ზეწოლას ვერ გაუძლეს და არა მხოლოდ ბრძოლაში ვერ ჩაერთნენ, არამედ „ქართუს“ კი დატოვეს, ხოლო ზოგიერთი ქვეყნიდანაც კი წავიდა. თუმცა, კადრების დეფიციტის გამო, რამდენიმე მათგანს. მაგალითად, გიორგი კვირიკაშვილსა და დიმიტრი ქუმსიშვილს, – ბიძინა ივანიშვილმა პროფესიონალიზმი მაინც დაუფასა და 2012 წელს ისინი ახალ მთავრობაშიც კი მიიწვია.

2011-12 წლებში „ქართუს“ დატოვებისთვის ვერავინ ვერავის გაამტყუნებს, ისეთი მასშტაბის ზეწოლის გამოვლა მოუწია თითოეულ ჩვენგანს. როგორც საზოგადოებას კარგად მოეხსენება, პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისთანავე, ჩემი სიმამრი დაიჭირეს და შემომითვალეს, რომ მას მხოლოდ პოლიტიკიდან ჩემი გასვლისა და ბიძინა ივანიშვილის გუნდის დატოვების შემთხვევაში გაათავისუფლებდნენ.

ყოველგვარი მორალის გარეშე მოქმედი რეჟიმის მხრიდან, განსაკუთრებით მძიმე ზეწოლის ქვეშ იყვნენ ადამიანები, რომლებიც 2011-12 წლებში ბიძინა ივანიშვილის უსაფრთხოებას იცავდნენ. მათ შორის იყვნენ ვახტანგ გომელაური და ანზორ ჩუბინიძე, რომლებსაც წარსულში ივანიშვილის პირადი უსაფრთხოების დაცვას ის ადამიანები საყვედურობენ, რომლებიც მაშინ ბიძინა ივანიშვილს და თითოეულ ჩვენგანს ყველანაირი ამორალური ფორმით გვებრძოდნენ.

რა თქმა უნდა, ბრძოლის და უშიშრობის მაგალითს თანამებრძოლებს ყოველ ჯერზე პირველი სწორედ ბიძინა ივანიშვილი აძლევდა და ეს მაგალითი გუნდს ყველაზე მეტად აძლიერებდა. თუმცა, გუნდის თითოეული წევრის ბრძოლა და გამბედაობა მაინც ცალკე აღნიშვნის ღირსია. ხშირად ყველაფერს ისე წარმოაჩენენ, რომ ბიძინა ივანიშვილმა არჩევნები მოიგო და გუნდის წევრებს თანამდებობები მოწყალების სახით დაურიგა. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის დამსახურება გუნდის ნებისმიერი სხვა წევრის დამსახურებას ერთიორად აღემატებოდა, მაგრამ ყველას მინდა შევახსენო, რომ ვახტანგ გომელაურმა, ანზორ ჩუბინიძემ და სხვებმა სახელმწიფო სამსახურში საკუთარი წარმატება, პირველ რიგში, სწორედ თავიანთი თავგანწირვისა და პროფესიონალიზმის ხარჯზე შექმნეს.

2012 წელს ვახტანგ გომელაური შინაგან საქმეთა სამინისტროში მე მივიყვანე ჩემს მოადგილედ. ანზორ ჩუბინიძეც, უწესიერესი კაცი და პროფესიონალი სამართალდამცავი, 2012 წლიდან ჩაერთო სახელმწიფო სამსახურში.

როდესაც მთავრობისთვის კადრებს არჩევ, ბუნებრივია, უცხო ხალხს ვერ მიიყვან და პირველ რიგში იმ ადამიანებს ეყრდნობი, რომლებმაც შენთან ერთად უმძიმესი ბრძოლა გამოიარეს და თავის საქმეს მაღალი პროფესიონალიზმით გაართვეს თავი. ამ თვალსაზრისით, ვახტანგ გომელაურიც და ანზორ ჩუბინიძეც გამორჩეულები იყვნენ და სწორედ ამის შედეგია, რომ მათ ხელისუფლებაში მაღალი პოზიციები ამდენი წლის განმავლობაში შეინარჩუნეს. რამდენიმე კვირის წინ, როდესაც ვახტანგ გომელაური პარლამენტის წინაშე ანგარიშით წარდგა, ოპოზიციამ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ ერთი გამართული შეკითხვაც კი ვერ დაუსვა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ის თავის საქმეს საუკეთესოდ უძღვება.

იგივე უნდა ითქვას კიდევ ერთი ძალოვანი უწყების ხელმძღვანელზე, გრიგოლ ლილუაშვილზე, რომელიც 2011-2012 წლებში ბრძოლის წინა ხაზზე იდგა და დღეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ძალზე მაღალი პროფესიონალიზმით ხელმძღვანელობს.

როდესაც ჩვენი შიდა თუ გარე პოლიტიკური ოპონენტები დეოლიგარქიზაციაზე საუბრობენ, ბუნებრივია, ეს ჩემთვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია. კონსტიტუციური თეორიისა და პრაქტიკის მიხედვით, საპარლამენტო რესპუბლიკაში ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი პრემიერ-მინისტრია და ხალხის წინაშე მას ეკისრება პასუხისმგებლობა, საკუთარი ფუნქცია ყოველგვარი ჭარბი გავლენისგან დამოუკიდებლად შეასრულოს. როდესაც ვიღაც ამტკიცებს, რომ პრემიერ-მინისტრი ფარსის ნაწილია და სინამდვილეში იმ ადამიანისგან იმართება, რომელმაც გასული წლის იანვარში პოლიტიკიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო, ეს არა მხოლოდ მე, არამედ სახელმწიფოსაც შეურაცხყოფს.

ბუნებრივია, ჩვენს პოლიტიკურ გუნდს აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ამის მიზეზი მხოლოდ ის არაა, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩვენი პოლიტიკური გუნდის დამფუძნებელია. მან 2011 წელს ქვეყნისთვის თავი გადადო და საქართველოს დემოკრატიული გარდატეხა მოუტანა, პოლიტიკიდან გასვლისას კი, სახელმწიფოს სამართავად სწორი ღირებულებები და თამაშის წესები დაგვიტოვა. ეს ღირებულებები და თამაშის წესებია სამშობლოს სიყვარული და კანონის პატივისცემა. ამასთან, ამ ღირებულებებსა და თამაშის წესებს ჩვენ არ მივყვებით როგორც გუნდის ყოფილი ლიდერისგან თავს მოხვეულ მემკვიდრეობას. ისინი მთელი ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის სისხლხორცეულად მნიშვნელოვანი და ორგანულია.

ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებულ ამ თამაშის წესებთან სრულიად შეუთავსებელია ყალბი ბრალდება ოლიგარქიული მმართველობის შესახებ, რომელსაც პოლიტიკური ოპონენტები, ერთი მხრივ, ბიძინა ივანიშვილს, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლებას უყენებენ.

საზოგადოებას მინდა, შევახსენო, რომ თავდაცვის, საგარეო საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა და ჯანდაცვის მინისტრების საკვანძო სამთავრობო პოზიციებს დღეს იკავებენ ადამიანები, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი არც კი შეხვედრია და არც იცნობს. საპარლამენტო გუნდის ლიდერების დიდ ნაწილთან, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარესთან და არაერთი საკვანძო კომიტეტის ხელმძღვანელთან, ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების წინ მათი წარდგენის დღეს არის შენახვედრი. ასეთ დროს, საუბარი იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი მთავრობასა და პარლამენტს მართავს და აკონტროლებს, სრული ფარსი და აბსურდია.

აქვე შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრის საქმეებში ბიძინა ივანიშვილის ჩარევას ჩემი წინამორბედებიც, გიორგი გახარია და გიორგი კვირიკაშვილი გუნდის დატოვების შემდეგაც უარყოფდნენ.

ასეთ პირობებში, ობიექტურ დამკვირვებელს შეიძლება დარჩეს მხოლოდ იმის თეორიული ეჭვი, რომ ბიძინა ივანიშვილი რაიმე კონკრეტული საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებაში შეიძლება ყოფილიყო ჩარეული. დღევანდელ მოცემულობაში, ასეთი საკვანძო გადაწყვეტილებები მხოლოდ ორი შეიძლება იყოს: რუსეთისთვის სანქციების არდაწესება და ომში ქვეყნის არჩართვა.

სანქციებისა და ომის თემაზე დღეს ბევრს არ ვისაუბრებ. ჩვენი პოლიტიკური გუნდის სხვა წევრების მსგავსად, ბუნებრივია, მეც მიწევს რაღაცებს გავუფრთხილდე. ვიტყვი მხოლოდ ერთს: თუ ვინმე ფიქრობს, რომ სანქციები ბიძინა ივანიშვილის კარნახით არ დავაწესეთ და ომშიც მისი კარნახით არ ჩავერთეთ, ძალიან ცდება. გუნდში ამ საკითხთან დაკავშირებით არავის რჩევა და კარნახი არ გვჭირდება. მიზეზი მარტივია – ჩვენც გვიყვარს ქვეყანა და საბედისწერო ომისთვის ის არც ჩვენ გვემეტება. შესაბამისად, ამ საკითხებზე გადაწყვეტილებები გუნდმა დამოუკიდებლად და სრული ერთსულოვნებით მიიღო.

როგორც უკვე აღვნიშნე, გუნდი არც ოპერატიულ და არც საკვანძო გადაწყვეტილებებს არ იღებს პოლიტიკიდან გასული ყოფილი ლიდერის კარნახით. ამ ვითარებაში, კამპანიის ავტორებმა კეთილი ინებონ და განმარტონ, რას გულისხმობენ, როდესაც ოლიგარქსა და დეოლიგარქიზაციაზე ლაპარაკობენ.

ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი ქვეყანაში სერიოზულ როლს ასრულებს. მის ფაქტორზე საუბრისას, ქველმოქმედებას არც კი გავიხსენებ. ბიძინა ივანიშვილმა სწორედ მისი თავგანწირვითა და ახალი თამაშის წესების დამკვიდრებით მოიპოვა ის სიყვარული და პატივისცემა გუნდისგან და საზოგადოებისგან, რომელიც ჩვენს ოპონენტებს ასე ძლიერ აშფოთებთ. ბიძინა ივანიშვილის წარსულს და ამ წარსულზე დაფუძნებულ სიყვარულსა და პატივისცემას ჩვენი ოპონენტები ვერაფერს უხერხებენ, რაც მათ სასოწარკვეთილებაში აგდებს. ბიძინა ივანიშვილი ნაციონალური მოძრაობისა და მისი ლიდერების პირდაპირი ანტიპოდია, რასაც ხალხი ძალიან კარგად ხედავს და აფასებს.

თუ მათთვის პრობლემა ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი და, როგორც ასეთი, მისი არსებობაა, მაშინ ეს უნდა აღიარონ. თუ მათთვის პრობლემა ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული ღირებულებები და თამაშის წესები – სამშობლოს სიყვარული და კანონის პატივისცემაა, კეთილი უნდა ინებონ და ესეც უნდა აღიარონ. ცნობიერი თუ ქვეცნობიერი იმედი იმისა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას კიდევ ერთხელ დაუდგება გვერდში, შეიძლება ჩვენს გუნდსაც ჰქონდეს და საზოგადოებასაც. თუ ჩვენი ოპონენტები პრობლემას ამაში ხედავენ, ამასაც აღიარება სჭირდება.

დღეს საქართველოს აქვს კარგი შედეგები ყველა მიმართულებით. რეგიონში და მთელ კონტინენტზე არსებული უმძიმესი ვითარების, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის ურთთულესი გამოწვევების, რადიკალური ოპოზიციის პერმანენტული დესტრუქციის ფონზე, საქართველო ინარჩუნებს მშვიდობას, სტაბილურობას და ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იმ თამაშის წესების დამსახურებაა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანას დაუტოვა. თუ ამას უწოდებენ ოლიგარქიზაციას და ამისათვის უნდათ ბიძინა ივანიშვილის დასჯა, ესეც პირდაპირ უნდა თქვან.

ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა რამდენიმე დღის წინ დაწერა, ბიძინა ივანიშვილმა, როგორც პოლიტიკის გროსმაისტერმა, ოპოზიცია პატურ მდგომარეობაში ჩააყენაო. მართლაც, მან ჩვენს ოპონენტებს თამაში და სვლები არ დაუტოვა. ეს არის მდგომარეობა, როდესაც ბიძინა ივანიშვილი არც თავად აკეთებს სვლებს და არც ოპონენტებს აძლევს იმის შანსს, რომ ქვეყნის წინააღმდეგ რაიმე სვლა გააკეთონ.

რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობას საზოგადოების სწორი ანალიზიც უწყობს ხელს. გასული 30 წლის განმავლობაში საზოგადოებამ ძალიან დიდი გამოცდილება შეიძინა. ხალხი დღეს კარგად არჩევს შავსა და თეთრს, ნაციონალური მოძრაობის თამაშის წესებს და ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებულ თამაშის წესებს, ვის სურს ომი და ვის სურს მშვიდობა საქართველოსთვის, ვის სურს არეულობა და ვის სურს სტაბილურობა, ვის სურს რეგრესი და ვის სურს ქვეყნის წინსვლა და განვითარება. სწორედ ამიტომაა, რომ ხელისუფლებაზე მრავალი მხრიდან განხორციელებული შეტევის მიუხედავად, ჩვენმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა ხალხის შეცდომაში შეყვანა და საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება ვერაფრით შეძლეს.

ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული თამაშის წესები და საზოგადოების გამოცდილება არის ორი ფაქტორი, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს წარმატების არავითარ შანსს არ უტოვებს. ასეთ პირობებში, ნაციონალურ მოძრაობას და მის შიდა თუ გარე პარტნიორებს ვურჩევდი, შეეგუონ არსებულ მოცემულობას – მშვიდობას, სტაბილურობას და ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას. მათ უნდა გაიაზრონ, რომ რამდენიც არ უნდა მოინდომონ, საქართველოს ომში ვეღარ ჩართავენ. მათ უნდა გაიაზრონ, რომ როცა სვლა არ გაქვს, უმჯობესია სტრატეგია, შეცვალო და გაჩერდე, რომ თამაში ახალი პარტიისთვის მაინც დაიტოვო...

12 ივლისი, 2022 წ.

მიხეილ ყაველაშვილისთვის გაუგებარია, რა შეთქმულების თეორიებზე და ტყუილებზე ლაპარაკობს აშშ-ის ელჩი. უპარტიო დეპუტატი დარწმუნებულია, კელი დეგნანს წერილი ბოლომდე რომ წაეკითხა, ცრუ ბრალდებას არ წაუყენებდა. როგორც მიხეილ ყაველაშვილი აღნიშნავს, ყურადღებით გაეცნო ელჩის პასუხს და გაოცებული დარჩა მისი დაუფარავი გაღიზიანებით.

როგორც ცნობილია, პარლამენტის წევრმა მიხეილ ყაველაშვილმა საქართველოში აშშ-ის ელჩ **კელი დეგნანს** ღია წერილით მიმართა. მოგვიანებით, წერილთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თავად აშშ-ის ელჩმა. დეგნანის თქმით, წერილი იყო ტყუილებით და შეთქმულების თეორიებით სავსე. დეგნანი ყველას რჩევას აძლევს, რაც შეიძლება სწრაფად დაიწყონ საქმე და 12 რეკომენდაციის შესრულება.

„ქართული ოცნების“ ყოფილი დეპუტატი **დიმიტრი ხუნდაძე** აცხადებს, რომ კელი დეგნანის პასუხი იყო ქართველი ამომრჩევლის შეურაცხყოფა და ემსახურებოდა პოლარიზაციის გაღრმავებას ქვეყანაში.

„მე ველოდი პასუხებს და მივიღე ხალხისგან არჩეული დეპუტატის შეურაცხყოფა. ეს არ იყო მხოლოდ ერთი დეპუტატის მიმართ გამოხატული უპატივისმცემლობა, ამ პასუხმა შეურაცხყო მთლიანად ქართველი ამომრჩეველი. არა მგონია, ეს იყოს დასავლური სტანდარტი, როცა უმაღლესი დონის დიპლომატი დეპუტატის მიერ გაგზავნილ წერილს არც კი კითხულობს და ამას საჯაროდ აღნერებს. ასეთი დამოკიდებულებით ქართველ ხალხში ევროატლანტიკური გზისკენ ლტოლვა ზიანდება. ეს კი საფრთხის შემცველია ჩვენი სახელმწიფოსთვის.

დეპუტატის მიერ გაგზავნილი კითხვები იყო ლეგიტიმური და რეალური. ეს კითხვები აწუხებს დღეს საზოგადოების უდიდეს ნაწილს. ამ კითხვებს გვისვამენ პოლიტიკოსებს და ჩვენ გვჭირდება პასუხები იმისათვის, რომ ხალხს ვესაუბროთ. როდესაც პასუხებს თავს არიდებთ ან ზოგადად, როდესაც პასუხები არ გაქვთ, გადადიხართ შეურაცხყოფაზე. და თუკი ეს დუმილი ან იგნორი, მით უმეტეს, შეურაცხყოფა დიპლომატისგან ხდება, მაშინ იმიჯი უზიანდება იმ ქვეყანას, რომელსაც ის წარმოადგენს“, — აცხადებს **დიმიტრი ხუნდაძე.**

აშშ-ის ელჩს ტაქტიკას უწუნებს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე,** რომლის განცხადებით, სამწუხაროა, როდესაც საქართველოს პარლამენტის წევრს ტყუილებში ადანაშაულებ.

„როდესაც გეუბნებიან, რომ არის თავდასხმა ევროპარლამენტარებზე და ამ დროს ელჩი შეურაცხყოფას აყენებს საქართველოს პარლამენტის არჩეულ წევრს, ეს რბილად რომ ვთქვათ, დასანანი და პარლამენტისთვის და სახელმწიფოსთვის შეურაცხმყოფელი“.

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** ფიქრობს, რომ აშშ-ის ელჩი ვალდებულია ღიად დააფიქსიროს პოზიცია „ტექნიკურ მთავრობასთან“ დაკავშირებით. მისი თქმით, თუ დიპლომატი „ტექნიკურ მთავრობაზე“ კითხვას ისევ აარიდებს თავს, ის დააზიანებს იმ ქვეყნის იმიჯს, რომელსაც წარმოადგენს და რისი სურვილიც ქართველებს არა აქვთ.

„რომელ 22 ორგანიზაციაზე საუბრობს ქალბატონი ელჩი? იმ ორგანიზაციებზე ხომ არა, ვინც ბაკურიანში შეიკრიბა და რადიკალური პოლარიზაციის გეგმა დაწერა? ვინც მანამდე საქართველოს ომში ჩართვისკენ მოუწოდებდა და ვისაც „ტექნიკური მთავრობის“ გეგმა ჩაუფლავდა? იმის ნაცვლად, რომ მათ ნარატივს გაემიჯნოს ქალბატონი ელჩი, ამ ორგანიზაციების ნაწერს ევროკომისიის მიერ წარმოდგენილ 12 პუნქტთან აკავშირებს. ეს საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე შეფერხებას ხომ არ ისახავს მიზნად? ჩვენ ვიცით, სინამდვილეში, მათ ერთი გეგმა აქვთ, რომელსაც აღსრულება არ უწერია“, — ამბობს **დავით ქართველიშვილი.**

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** ამბობს, რომ ყაველაშვილის ადგილზე არ დაწერდა ამ წერილს ელჩის მისამართით, ან თუ დაწერდა სხვა პათოსით. თუმცა, მისი თქმით, ელჩის მხრიდან საკმაოდ შეურაცხმყოფელი ტონით პასუხიც, არაფერს მატებს მას როგორც დიპლომატს.

„მათი გადასაწყეტია, მათ შეიძლება უფრო მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე მე, თუ რა პოზიცია აქვს დასავლეთს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ჯობდა, ყოველგავრი წერილის გარეშე ჩვეულებრივი განცხადება გაეკეთებინათ. მათ ხომ განცხადეს, რომ პარტიიდან იმიტომ გამოვედით, რომ უფრო მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებასო. მე, მგონია, რომ წინასწარ უნდა განჭვრიტო, რა კონკრეტულ ნაბიჯს დგამ. ეს ხომ არაა, უბრალო მოქალაქის წერილი? პარლამენტის დეპუტატი წერს წერილს ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის ელჩს, რომელსაც თავისი პოლიტიკური დატვირთვა და წონა აქვს. სავსებით გასაგებია, რომ ოპოზიცია ამას აუცილებლად გამოიყენებდა ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის და კიდევ ერთ „არგუმენტად“, რომ თითქოსდა ხელისუფლებამ გადაუხვია პროევროპულ კურსს“, — აცხადებს ანაჯაფარიძე.

ამიტომაც, როგორც ანალიტიკოსი ამბობს, როდესაც რაღაცას გეგმავ, აუცილებლად უნდა გათვალო ყველა მოსალოდნელი შედეგი და თუ იცი ეს შედეგი, უნდა გქონდეს სამოქმედო გეგმა. ანჯაფარიძე ფიქრობს, რომ აჟიოტაჟი მალე ჩაცხრება, მაგრამ ამერიკელები ასე ადვილად არ დაივიწყებენ წერილის შინაარსს და მას თავის მეხსიერებაში შეინახავენ.

„მათ იციან, რომ ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ ეს სტრატეგიული პარტნიორობა ბოლო დროს განსხვავებულად ესმის მხარეებს. მათ მიაჩნიათ, რომ შეუძლიათ ჩაერიონ შიდა პოლიტიკურ პროცესებში, სადაც წესით, არ უნდა ერეოდეს ელჩი, რადგან ეს ქვეყნის სუვერენული საქმეა. მათ შორის იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტება, სასამართლოს რეფორმა, გასაგებია, რომ მათ ფული ჩადეს ამაში და თვლიან, რომ აქვთ უფლება, მაგრამ მათი რიტორიკა და მათ შორის ელჩის რიტორიკა, ისე გამოიყურება, რომ ისინი დირექტივებს გვაძლევენ“.

პოლიტოლოგ **სოსო მანჯავიძის** განცხადებით, თავმოყვარე ადამიანს არ შეიძლება მოეწონოს კელი დეგნანის მოქმედება. იქიდან გამომდინარე, რომ აშშ-ის ელჩი არღვევს ყველანაირ თამაშის წესებს და მათ შორის დიპლომატიური ქცევის ეთიკას.

„ღია და დაუფარავ ზეწოლას ახორციელებს ქვეყნის ხელისუფლებაზე, ხალხზე, ახვევს მას თავის მოსაზრებებს და ეს მოსაზრებები არის „ნაციონალური მოძრაობის“ ღია და დაუფარავი მხარდაჭერა, სახალხო დამცველის და მისი მოკავშირე ა-ო-ების გამოცხადება ქართველ ხალხად, „ნაცმოძრაობასთან“ აფილირებული მედიის ღია და დაუფარავი მხარდაჭერა და ზოგადად, ძირგამომთხრელი საქმიანობა. ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი ამბობს — „რატომ არ ხდება ამერიკაში გადატრიალებები? იმიტომ, რომ აშშ-ის საელჩო არ არის ამერიკაში“. ამ გამოთქმას გვახსენებს ქალბატონი კელი დეგნანის ქცევა“...

თამთა ქარჩავა

აჟიოტაჟი გრძელდება...

ვახტანგ ჭარაია: უკრაინას და ევროკავშირს შესაძლებლობა უნდა მივცეთ, ჩვენი სატრანზიტო დერეფანი გამოიყენონ

„მარტივი აზროვნებიდან, ცოტა კომპლექსურ და გრძელვადიან აზროვნებაზე უნდა გადაეწყოს ბიზნესი, მათ შორის სატრანზიტო მიმართულებით. სატრანზიტო კომპანიებს უნდა ესმოდეთ, რომ დღეს გაკეთებული კარგი შეთავაზებით, შესაძლოა გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება და სატრანზიტო კომპანიების სამუდამოდ გადმობირება“, — ამის შესახებ ეკონომიკის დოქტორმა, პროფესორმა, თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორმა ვახტანგ ჭარაიამ განაცხადა.

მისი თქმით, ტარიფების გადახედვა და ტრანზიტის პროცედურების გამარტივება სხვა დეტალების მოგვარებასთან ერთად, მოგვცემს საშუალებას რუსეთ-უკრაინის ომის გამო შემოსული ინვესტორი, არა დროებით, არამედ სამუდამოდ გადმოვიბიროთ.

„შუა დერეფნის საკითხი ახლა ძალიან მნიშვნელოვანია და ყველაზე აქტუალურია. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მარტო საქართველოზე არ არის ეს დამოკიდებული, ჩვენ უნდა დავალაგოთ ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან და ქვეყნის შიგნითაც ბევრია სამუშაო, მათ შორის თუნდაც ტარიფების გადახედვა, ტრანზიტის პროცედურების გამარტივება, რომ ინვესტორს გასვლა არ მოუნდეს ქვეყნიდან, ამაზე არის დღესვე სამუშაო. თუმცა ბოლო პერიოდის ჩემი დაკვირვებები მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ნაცვლად იმისა, ვიზრუნოთ ტარიფების შემცირებაზე, სატრანზიტო კომპანიებისთვის უფრო მოქნილი პაკეტების შეთავაზებაზე, პირიქით. გვგონია რომ როცა მათი რაოდენობა იზრდება, რატომ უნდა გავამარტივოთ რამე? რატომ უნდა დავთმოთ, როცა ბუნებრივი ზრდა გვაქვს? თუმცა ეს მიდგომა ჩვენ მოგვცემს იმას, რომ როგორც კი რუსეთ-უკრაინის ომი დამთავრდება ან სანქციები შესუსტდება, ეს ტრანზიტული ტვირთი საქართველოდან გაქრება და გადავა ისევ რუსეთში, სწორედ ეს არ უნდა დავუშვათ.

ჩვენ შეგვიძლია უკრაინას თუ ევროკავშირის ქვეყნებს მივცეთ შესაძლებლობა, რომ რუსეთს აარიდონ თავი და ჩვენი სატრანზიტო დერეფანი გამოიყენონ. უკრაინის დახმარება და რუსეთის შესუსტება გადის სწორედ მათთვის გარკვეული ტვირთების წართმევით და საქართველოზე გატარებით“, — ამბობს ვახტანგ ჭარაია.



ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

საქართველოს მთავრობამ „ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი მიიღო.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბიოწარმოების შედეგად მიღებულ და ბიოსერტიფიცირებულ პროდუქტებზე მოთხოვნა მზარდია როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე, სახელმწიფო ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებას იწყებს. მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ბიოწარმოების მსურველ მეწარმეებს ფინანსურ მხარდაჭერას სოფლის განვითარების სააგენტო გაუწევს. პროექტი ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში განხორციელდება.

ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს არაბიომეურნეობიდან ბიომეურნეობაზე გადასვლას, რაც ბიოწარმოების სერტიფიცირების, საკონსულტაციო მომსახურების, ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქების ან მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ გამოსაყენებელი ბიოპრეპარატების შეძენის, ფუტკრის სამკურნალო ბიოპრეპარატებისა და ბიოფიჭის შეძენის, ასევე თაფლისა და ცვილის წარმოებისათვის ლაბორატორიული ანალიზის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას გულისხმობს.

პოტენციური ბენეფიციარისთვის ბიოწარმოების სერტიფიცირების, საკონსულტაციო მომსახურების, თაფლისა და ცვილის ლაბორატორიული ანალიზისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება ერთ პოტენციურ ბენეფიციარზე განისაზღვრა არაუმეტეს 70%-ით, არაუმეტეს 7000 ლარით, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება — არაუმეტეს 40%-ით, არაუმეტეს 4000 ლარით.

ერთი პოტენციური ბენეფიციარისთვის ორგანულ მეურნეობაში დაშვებული ორგანული სასუქების ან მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ გამოსაყენებელი, ბიო-პრეპარატების შეძენის ხარჯის, ფუტკრის ბიოპრეპარატებისთვის და ბიოფიჭის შესაძენად გაწეული ხარჯის ანაზღაურება სააგენტოს მიერ განისაზღვრება შემდეგი პირობებით, მევენახეობის შემთხვევაში, სააგენტოს ანაზღაურება, 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით განისაზღვრება, არაუმეტეს 70%-ით, არაუმეტეს 5100 ლარით, ხოლო, თუ პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება — არაუმეტეს 40%-ით, არაუმეტეს 2900 ლარით.

გაწეული ხარჯის ანაზღაურება განხორციელდება არაუმეტეს 5 ჰა-ზე გადაანგარიშებით. საფუტკრე მეურნეობის შემთხვევაში, სააგენტოს ანაზღაურება ბიოპრეპარატებისთვის და ბიოფიჭის შესაძენად განისაზღვრება არაუმეტეს 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ სკაზე 50 ლარის ოდენობით, მაგრამ ჯამურად არაუმეტეს 5100 ლარით, თუ პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება არაუმეტეს 40%-ით, მაგრამ არაუმეტეს ერთ სკაზე 25 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 2900 ლარით.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ორმხრივ დოკუმენტს ხელი საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა **გოგიტა თოდრაძემ** და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა **გიორგი კვესიტაძემ** მოაწერეს.

სამი წლის ვადით გაფორმებული მემორანდუმი, მხარეთა შორის, ხარისხიან და ობიექტურ, სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებასა და გაცვლას შეუწყობს ხელს.

ღონისძიება გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა **გიორგი კვესიტაძემ**. დისკუსიის ფარგლებში სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი **დავით გურგენიძე,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები **ლადო პაპავა,** ქართლოს ყაჭიაშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **თემურ ბერიძე**.

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ აღნიშნა, — **„ურთიერთთანამშრომლობის დროს, საქსტატი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამის ფარგლებში, აკადემიას — მისი მიზნებისა და ამოცანების შესრულებისთვის საჭირო სტატისტიკურ ინფორმაციას მიაწვდის და უზრუნველყოფს მისი ინტერესების სფეროში შემავალი სტატისტიკური პროდუქტებით“.**

თავის მხრივ, აკადემია უზრუნველყოფს საქსტატის თანამშრომელთა მონაწილეობას სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაში, ხელს შეუწყობს საქმიანობის ძირითად მიმართულებასა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას. სამომავლო ურთიერთობის დაგეგმვის და აზრთა გაზიარების მიზნით, აკადემია და საქსტატი, პერიოდულად უზრუნველყოფენ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

რუსების მიერ მიჩქმალული

27 წლის ქართველი გენეტიკოსის მიღწევები

1918 წელს ეკატერინბურში, 17-დან 18 ივლისის ღამეს ინჟინერ ნიკოლოზ იპატევის სახლის სარდაფში 11 ადამიანი დახვრიტეს. მხეცურად მოკლულთა შორის იყვნენ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე, მისი მეუღლე, დედოფალი ალექსანდრა თეოდორას ასული, იმპერატორის 4 ასული — ოლგა, ტატიანა, მარია და ანასტასია. მოკლეს უფლისწული ალექსეი. სამეფო ოჯახთან ერთად დახვრიტეს მათი მსახურებიც, ვინც ბოლომდე მათთან დარჩა. ბოლშევიკებმა ცხედრების ნაწილი კოცონზე დაწვეს, ნაწილი გოგირდმჟავის გამოყენებით გაანადგურეს, დარჩენილი ძვლები კი ეკატერინბურგის შემოგარენში დამარხეს.

ამ სიმხეცის ჩადენიდან მრავალი ათეული წელი გავიდა და 1991 წელს ეკატერინბურგის მახლობლად, აღმოაჩინეს ადამიანების ჩონჩხების ფრაგმენტები, რომლის დნმ-ის მოლეკულები შეადარეს ნიკოლოზ II-ის სისხლის დნმ-ის ნიმუშს, ასე მოხდა ნიკოლოზ II-ის ჩონჩხის იდენტიფიცირება. მიღებული კვლევების საფუძველზე დადასტურდა, რომ ნაპოვნი ჩონჩხის ფრაგმენტები ნიკოლოზ II-სა და მის ოჯახს ეკუთვნოდა.

ამ აღმოჩენის ავტორი გახლდათ 27 წლის ქართველი მეცნიერი აპოლონ ჯინჭარაძე. მან შექმნა დნმ-ის ტესტი (გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდი). სწორედ მის მიერ აღმოჩენილმა კანონზომიერებებმა მისცა შესაძლებლობა მეცნიერებას, საფუძვლიანად შესწავლილიყო მოლეკულური ევოლუციის პროცესი. მის მიერ აღმოჩენილი მეთოდით მოხდა რუსეთის მეფის ნიკოლოზ II-ის ნეშტის იდენტიფიცირება, ხოლო მასალად გამოიყენეს იაპონიაში შემონახული ნიკოლოზ მეფის სისხლით გაჟღენთილი დოლბანდი.

გენომური დაქტილოსკოპიის მეთოდით შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიცირება დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი სისხლის ერთი წვეთით, თმის რამდენიმე ბოლქვის ანალიზის საფუძველზე. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, იპოვოს ზუსტი კავშირი დაკარგულ მშობლებსა და შვილებს შორის. ამოიცნოს საუკუნეების წინ გარდაცვლილი ადამიანების ვინაობა.

ეს არის მსოფლიო დონის აღმოჩენა, თუმცა, იმის გამო, რომ აპოლონ ჯინჭარაძე საბჭოთა იმპერიაში მოღვაწეობდა, კვლევების გამოქვეყნების საშუალება არ მისცეს, რადგან ხელმძღვანელობას მისი დამსახურების აღიარება არ უნდოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1987 წელს, უკვე რამდენიმე მეცნიერს მსგავსი აღმოჩენის შესახებ კვლევა გამოქვეყნებული ჰქონდა, 1987 წელს აპოლონს თავისი შრომები გამოუქვეყნეს.

„აპოლონს უნდოდა კვლევების გამოქვეყნება, თუმცა, ამის ნება არ მისცეს, რადგან ხელმძღვანელობას მისი პერსონალური დამსახურების აღიარება არ უნდოდა, ასევე, პრობლემა იყო საბჭოთა კავშირის უშიშროება. იმის გამო, რომ მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ ეს აღმოჩენა, არ გაამჟღავნეს“, — ჰყვება აპოლონ ჯინჭარაძის კოლეგა, გენეტიკოსი ნინო ლომიძე.

1988 წელს მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „დნმ-ის ევოლუციურად კონსერვატიული განმეორებადი თანმიმდევრობები და მათი გამოყენება გენომურ დაქტილოსკოპიაში“ და საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. თუმცა, მომავალ წელს, 1989 წელს ის 28 წლის ასაკში გარდაიცვალა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსებმა მაქსიმალურად სცადეს აპოლონ ჯინჭარაძის სახელი დაეჩრდილათ და აღმოჩენებთან დაკავშირებით, წინ რუსი მეცნიერების სახელები დაეყენებინათ. ამ აღმოჩენის გამო რუსეთის სახელმწიფო პრემია მიანიჭეს მეცნიერთა ჯგუფს, რომლის სათავეში რუსი გენეტიკოსი ჩაწერეს, აპოლონ ჯინჭარაძეს კი რიგითი წევრის სტატუსი უბოძეს.

„ეს გახლდათ მსოფლიო დონის აღმოჩენა, მე თავისუფლად ვიტყოდი, აპოლონს არა მარტო სადოქტორო ეკუთვნოდა, არამედ ამ აღმოჩენაში ნობელის პრემიის ლაურეატიც უნდა გამხდარიყო“, — ასე აფასებს ჯინჭარაძის აღმოჩენას გენეტიკოსი, გენეტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲠᲗᲐᲒᲔᲜᲘ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲔᲡ!

ᲐᲮᲐᲚ ᲠᲔᲤᲔᲠᲔᲜᲓᲣᲛᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲐ – ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ! ᲐᲠᲐ – ᲜᲐᲢᲝᲡ!

(ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) ზოგიერთი, ალბათ, მართლა გაგებაში არ არის, მით უფრო, როცა არც შენ, ჩემო ხელისუფლებავ, არ ცდილობ რაიმე აუხსნა-განუმარტო მათ, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობას მაინც ესმის, რომ:

1. არც ნატო და არც ევროკავშირი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღმდგენნი და ეკონომიკის ფეხზე დამყენებლები არ არიან, შეშფოთებების გამოხატვის მეტს მათგან არაფერს არ უნდა ველოდოთ;

2. ჩვენს გამო რუსეთს არავინ არ დაუპირისპირდება, პირიქით, **საკუთარი ინტერესებისთვის ჩვენ გვაპირისპირებენ რუსეთთან და ომიც კი წამოგვაწყებინეს 2008 წელს;**

3. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის და მასთან პირდაპირი მოლაპარაკებების უფლებას არ გვაძლევენ, ხოლო უკრაინის მხარდასაჭერად რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის არგახსნის გამო მორალიც კი დაგვიწუნეს და გავშვივით დაგვტუქსეს – ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი აღარ მოგვანიჭეს!

4. მთავრობას აიძულებენ კრიმინალურ „ნაცმოძრაობასთან“ კოჰაბიტაციას და მთავარი ნაცის – სააკაშვილის ციხიდან გამოშვებასაც კი მოითხოვენ;

5. ეროვნულ ტრადიციებზე და მართლმადიდებლურ ღირებულებებზე უარის თქმას მოითხოვენ;

6. თვალს ხუჭავდნენ „თავიანთი ძაღლიშვილის“ – სააკაშვილის 9-წლიან სახელმწიფო ტერორზე და ერთხელაც ხმა არ ამოუღიათ ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვაზე, პატიმრების არაადამიანურ პირობებში ყოფნაზე, უმოწყალოდ ცემა-ტყეპაზე, მამაკაცების გაუპატიურებაზე, უსასტიკეს წამებაზე და ამით გამოწვეულ სიკვდილის შემთხვევებზეც კი! **მერაბიშვილის და ახალაიას** დაპატიმრების შემდეგ კი, კვირა არ გავიდოდა ამერიკელ-ევროპელი სენატორ-პარლამენტარების დელეგაცია არ ჩამოსულიყო „ორი გვამის“ მომთხოვნის საპატიმრო პირობების შესამოწმებლად. უპატივცემულოდ კი არა და, იმდენად უტიფრად გვექცევიან, რომ მერაბიშვილის „უფლებების დარღვევისთვის“ – დასაკითხად ღამის საათებში გაყვანის გამო, ხალხი დაგვაჯარიმეს (ჯარიმას ხომ ჩვენი ჯიბიდან, ჩვენი გადასახადებიდან ფარავს მთავრობა)! საზღვრის დამრღვევ, სამარცხვინოდ შემოპარულ „სიმულიანტ“ **სააკაშვილზე** კი ისე არიან გადაფოფრებულები, რომ, როცა განაჩენს ხარვეზი ვერ მოუძებნეს, პატიმრისთვის უპრეცედენტო რამ მოიფიქრეს – უცხოეთში სამკურნალოდ გაგზავნა!

7. იმდენად გათავხედდნენ, რომ **შემოთავაზებულ ზოგიერთ სესხზე უარისთქმის უფლებასაც კი არ გვიტოვებენ,** – ერთხელ გავბედეთ და ისეთი ამმავი ატეხეს, თითქოს, ფული იქით წაგვეგლიჯოს! არადა, ცნობილია, რომ ყოველ სესხს მისი ხარჯვის განაწესი მოყვება, თუ რაში უნდა დავხარჯოთ იგი, სად და ვისგან უნდა შევიძინოთ საქონელი და ა.შ.

8. ხაზინის ქურდები: სააკაშვილი, უგულავა, ბოკერია, ჭანტურია... სახელმწიფო გადატრიალებისკენ **და პარლამენტში შეჭრის მოთავეები და მონაწილენი: მელია, ოქრუაშვილი – პოლიტპატიმრებად და შეწყალების ღირსად მიაჩნიათ!** პრეზიდენტისგან **გვარამიას** – იმ კაცის შეწყალებასაც ითხოვენ, რომელმაც არაერთხელ უშვერი სიტყვებით მოიხსენია რუსეთის პრეზიდენტი, ხოლო საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს წარმოუდგენლად მინდური სახელი („ყ...ქალა“!) უწოდა და ამისთვის, ჩვენდა სამარცხვინოდ, არავის არ მოუთხოვია ამ გარეწრისთვის პასუხი, არც თავად პრეზიდენტს უჩივლია (ეს ვაუბატონი სასჯელს მხოლოდ კორუფციისა და სხვისი საკუთრების დაზიანება-განადგურებისთვის იხდის). მიუხედავად ამისა, არა მგონია, ისე შეშინდეს ქალბატონი პრეზიდენტი, რომ სააკაშვილი ან გვარამია შეიწყალოს!

9. არჩევნებს, სახელისუფლებო კადრების შერჩევას და სასამართლო გადაწყვეტილებებს (პირველ რიგში, ლგბტ პერსონებთან და პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულს) **ამერიკის ელჩი აკონტროლებს ევროელჩთან ერთად!**

მეტი რაღა უნდა ჩამოვთვალო, მაგრამ ამ პუნქტებიდან ერთიც რომ არ იყოს ხელის შემშლელი, მაშინაც **კი არც პარლამენტს (150 ადამიანს), არც მთავრობას (20) და არც პრემიერსა თუ პრეზიდენტს არავითარი უფლება არა აქვს ხალხის უკითხავად შეგვიყვანოს რომელიმე სამხედრო თუ ეკონომიკურ საერთაშორისო გაერთიანებაში,** რაც არ უნდა მიმზიდველ ფერებში დაგვიხატონ ისინი! ეს მათაც კარგად მოეხსენებათ და, ამიტომაც ხშირად იშველიებენ 15 წლის წინანდელ, გაყალბებული არჩევნების პირობებში ჩატარებულ პლებისციტს, რომლის მიხედვითაც, თითქოსდა, მოსახლეობის 77% მხარს უჭერდეს ნატოში გაწევრებას. მას შემდეგ იმეორებენ და იმეორებენ ამ რიცხვს, მაგრამ რეფერენდუმის ჩატარების მაინც „თოფივით ეშინიათ“!

რეფერენდუმი, რომელსაც, პლებისციტისგან განსხვავებით, იურიდიული ძალა გააჩნია, აუცილებლად უნდა ჩატარდეს! და იგი უნდა ჩატარდეს არა რომელიმე ერთ, არამედ საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვან, რამდენიმე სასიცოცხლო საკითხზე:

1. გსურთ თუ არა ნატოში გაწევრება;

2. თანახმა ხართ თუ არა ნატოში გაწევრებაზე აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გარეშე;

3. სამხედრო ბლოკში გაწევრებას ემხრობით თუ მიუმხრობლობის (ნეიტრალიტეტის) პოლიტიკას;

4. უნდა გასამართლდეს თუ არა სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

5.. თანახმა ხართ თუ არა, აიკრძალოს ლგბტ-პროპაგანდა და ე.წ. „პრაიდები“ („სიამაყის“ მარშები და ფესტივალები);

6. ამოღებულ უნდა იქნას თუ არა კონსტიტუციიდან ჩანაწერი, თითქოსდა, ნატოში გაწევრება არის ქართველი ხალხის სანუკვარი მიზანი;

7. გსურთ თუ არა ევროკავშირში გაწევრება იმ პირობებით, რასაც იგი გვიყენებს?!

ეს კითხვა თავისი მნიშვნელობით პირველია, მაგრამ ბოლოსთვის მოვიტოვე, რადგანაც ოდნავ ვრცლად მინდა მასზე შევჩერდე.

იმ სამი მთავარი პირობიდან, რაც ვიცით მოსახლეობის უმეტესობამ, არც ერთის შესრულება არ მოხერხდება: არც – **დეპოლარიზაციის**, არც – **დეოლიგარქიზაციის** და არც – **ლგბტ(Q+**)-თემის თავის ჭკუაზე მიშვების!

შეუძლებელია, რომ ის 19-წლიანი დაპირისპირება, რომელიც „ქართულ ოცნებას“, ქართველი ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობასა და „ნაცმოძრაობას“ შორის არსებობს და, რამაც კულმინაციას ბოლო თვეებში მიაღწია, ევროკავშირის მოთხოვნით ექვს თვეში იქნას დასრულებული. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იქცევიან ნაცები, როგორ მეტყველებენ მიტინგებზე, ტელევიზიებში და რა მოთხოვნებსაც უყენებენ ხელისუფლებას, საქმე დაპირისპირების საშიში გამწვავებისკენ მიდის და არა – დეპოლარიზაციისკენ! დაპირისპირების და ხალხის მღელვარების დაცხრომა მით უფრო წარმოუდგენელია, როცა სააკაშვილის ჯოჯოხეთგამოვლილი ხალხი ხედავს, რომ **კრიმინალ ნაცებს ამერიკა და ევროკავშირი აფარებს ხელს!**

როდესაც უყურებ პრეზიდენტ **ზურაბიშვილის** უმადურ საქციელს – დაპირისპირებას იმ ძალასთან, იმ ხალხთან, რომლებმაც იგი პრეზიდენტი გახადა და, რაც ბევრად უფრო ამაზრზენია, – მის ფაქტობრივ გადაბარგებას ნაცების ბანაკში, კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ დეპოლარიზაცია შეუძლებელია. ამიტომ, **ცინიზმია ან სრული არაადეკვატურობა, როდესაც ეს ქალბატონი დეპოლარიზაციისკენ მოგვიწოდებს!**

დეპოლარიზაცია მხოლოდ დენაციფიკაციის შემთხვევაშია შესაძლებელი! ეს კი მანამდე არ მოხერხდება, სანამ ნაცმოძრაობის რეჟიმი არ გასამართლდება მის მიერ ჩადენილი მთავარი(!) დანაშაულობების გამო და, არა – „პიჯაკების“ მსგავსი საქმეებისთვის, რაც ხალხის მასხრად აგდებაა! ამჟამად საქართველოს ციხეებში მყოფ 10 000 პატიმარს, ერთად აღებულს არა აქვს იმდენი (და ისეთი !) დანაშაული ჩადენილი, რაც სააკაშვილს და მის ნაცხროვას: ხაზინის ქურდობა იქნება ეს, კერძო საკუთრების მითვისება, გაუპატიურება, წამება თუ მკვლელობა, სტრატეგიული ობიექტების და მიწების გაყიდვა-განიავება, დანაშაულებრივად წამოწყებულ ომში მშვიდობიანი მოსახლეობის გაწირვა – ევაკუაციის ნაცვლად მათი ჩატოვება საომარ არეალში, კოდორის ხეობის უბრძოლველად დათმობა, ახალგორის პირდაპირ ლანგარზე მირთმევა და სხვა მრავალი. როგორც იმ დროს (2013 წელს) პრემიერად მყოფმა **ივანიშვილმა** გვამცნო, საქართველოს მოსახლეობისთვის წართმეული სახლების, მიწების, ბიზნესის, მანქანების და სხვა ქონების ღირებულება, შვიდ მილიარდს(!) აღემატებოდა. ეს მხოლოდ მოსახლეობისგან წაგლეჯილი და, თუ მას სესხებიდან და გრანტებიდან „მოტეხილს“, აგრეთვე, იარაღის უკანონო გაყიდვებიდან **(კეზერაშვილის** და სხვების მიერაც) მიღებულ შემოსავალსაც დავუმატებთ, 10 მილიარდზე მეტიც გამოვა!!!

რაც შეეხება **დეოლიგარქიზაციას,** არც ეს გამოვა – ერთადერთ ქართველ მილიარდერს, შესაძლოა, სუსტ პოლიტიკოსს, რომელმაც, მართალია, ვერ შეასრულა ხალხისთვის მიცემული მთავარი პირობა – ვერ გაასამართლა ნაცმოძრაობა (ზოგიერთი სხვა დაპირებაც), მაგრამ სააკაშვილის ნაცხროვის დამმარცხებელს და უდიდეს ქველმოქმედს, ნაცების და ევროკავშირის „ხათრით“ საქართველოდან ვერავინ ვერ გააძევებს! **ქართველი ხალხი უმადური არ არის, უმადურები მხოლოდ ნაცები არიან!** აი, დასავლეთიდან დაფინანსებული და დასავლეთის დავალებების შემსრულებლების გაძევების საკითხი კი შეიძლება მართლაც მალე დადგეს!

ვერც ლგბტ-თემის თესლი გაიხარებს საქართველოში – 17 საუკუნის მანძილზე ქრისტიანობისთვის თავდადებული ქართველი ერი სოდომ-გომორის ცოდვის ჩამდენებისთვის სასათბურე პირობების შექმნას – პრაიდ-ფესტივალებს, ერთნაირსქესიანთა ქორწინებებს და გეი-წყვილების მიერ ბავშვების აღსაზრდელად აყვანას, სანამ პირში სული უდგას, არ დაუშვებს!

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ რეფერენდუმის წინა პერიოდში ხალხს განემარტოს განსახილველი პრობლემების დადებითი და უარყოფითი მხარეები, რისთვისაც აუცილებელია ყველა ტელევიზიამ (კერძომ თუ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა) ორივე მხარეს – მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს ერთნაირი ხანგრძლივობით დაუთმოს საეთერო დრო თითოეულ თემაზე სასაუბროდ, ვთქვათ, 1-2 საათი დღეში და, არა ნაკლებ ერთი თვის მანძილზე (დამრღვევებს საგრძნობი ჯარიმა და ადმინისტრაციული სასჯელიც უნდა დაეკისროს).

ცხადია, რეფერენდუმის შედეგები სავალდებულო იქნება აღსასრულებლად ნებისმიერი მთავრობისთვის, განურჩევლად იმისა, თუ რომელი პარტია იქნება ხელისუფლების სათავეში!

ხმა ღვთისა და ხმა ერისაო! ამიტომ, სანამ რეფერენდუმი არ ჩატარდება, მანამდე არა – ნატოს! არა – ევროკავშირს!

ცალკე უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ **დიდი მკრეხელობაა, – პარტიას, რომელიც საკუთარ ერს ტერორს უწყობს, ორად ხლეჩს და ერთმანეთთან აპირისპირებს, ქრისტიანულ ღირებულებებს დასცინის და ეკლესიას, პატრიარქს შეურაცხყოფს, რომელსაც საკუთარი სამშობლოს დასმენა-დაბეზღება საგარეო პოლიტიკად გაუხდია, რომელსაც ეროვნულობის არაფერი არ სცხია, – ნაციონალური ანუ ეროვნული მოძრაობა ერქვას!** ეს უპრეცედენტო ოქსიმორონია! პარტია-ორგანიზაციებისთვის სახელების შერჩევა უმიზნოდ არ ხდება, ასეა ამ შემთხვევაშიც – **იგი ხალხის დასაბნევად, შეცდომაში შესაყვანად და სიტყვა „ეროვნულის“ დისკრედიტაციის მიზნით არის მოფიქრებული!**

ამიტომაც, თუ გადარჩენა, მართლმადიდებელ ქართველებად დარჩენა გვსურს, **ნაციონალური მოძრაობა, როგორც კართაგენი, უნდა დაინგრეს!**

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲚᲔᲩᲐᲕᲐ,
10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 2022

P.S.

როდესაც რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია წევრად არ გიღებს რაიმე პირობის შეუსრულებლობის მომიზეზებით, ეს მისი ნებაა და ვერ შეედავები, ამაში უცნაური არაფერია. უცნაური მხოლოდ ის არის, რომ, განურჩევლად იმისა, უნდა თუ არა რომელიმე სახელმწიფოს დასავლეთის ორგანიზაციებში გაწევრება, ამერიკა და ევროპა მთელი თავისი ეკონომიკურ-პოლიტიკური თუ სამხედრო ძალით მაინც ყველას, მთელ მსოფლიოს პირდაპირ „ცხვირში ტენის“ ბუნებისგან დაჩაგრული და ნორმიდან გვარიანად გადახრილი (რბილად რომ ვთქვათ) ადამიანების წესს, იმ წესს, რომელიც დაგმობილი იყო ყველა რელიგიის მიერ საუკუნეების მანძილზე.

რა მიზნით ხორციელდება ასეთი ზეწოლა?! მიზანი ნათელია – კი არ გავმრავლდეთ, არამედ, – გავირყვნათ და გადავშენდეთ! დეპოპულაციაზე – მის მისაღწევ გზებზე და მეთოდებზე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაიწყეს სერიოზულად ფიქრი და მოქმედებაც იმათ, ვისაც მსოფლიოს ფარულ მთავრობას უწოდებენ! დეპოპულაციის თემაზე ბევრჯერ გვისაუბრია წინა წლებშიც, განსაკუთრებით კი, – კოვიდპანდემიის პერიოდში, მაგრამ ამჟამად იმდენად საშიში, საგანისტური ჩანაფიქრის განხორციელების მოწმენი ვართ, რომ სჭიროდ ვთვლი ერთ, სულ ახლახანს, რამდენიმე დღის წინ მომხდარ ფაქტზეც შევაჩერო მკითხველის ყურადღება.

ამერიკის ჯორჯიის შტატში, ატლანტიდან 175 კმ-ში, 1980 წელს ტრიალ მინდორში დაიდგა „ამერიკულ სტოუნჰენჯად“ ცნობილი უცნაური ძეგლი, რომელიც ექვსი 6-მეტრიანი სიმაღლის გრანიტის ფილისგან შედგებოდა (ერთი ფილა ცენტრში, ოთხი – მის ირგვლივ და ერთიც – მათ თავზე დადებული). მის ოფიციალურ გახსნას ეწრებოდა 400 ადამიანი, მაგრამ უცნობია, თუ ვინ იყვნენ ისინი, არც სპონსორებია ცნობილი და არც ის, თუ რა იყო ძეგლის დადგმის მიზანი! ეს ძალზე უცნაურია ამერიკისთვის, სადაც ბაფომეტს (იგივე სატანას), არათუ მინდორში, ქალაქებში უდგამენ ძეგლებს და მათ შესახებ ყველაფერი ცნობილია!

ოთხ ფილაზე (ფირფიტაზე) ორივე მხრიდან რვა ენაზე, მათ შორის, რუსულადაც, ამოტვიფრული იყო მიმართვები, რომელთაგან ჩვენთვის საყურადღებოა ორი მათგანი:

პირველი, – ნურასოდეს გადააჭარბებს დედამიწის მოსახლეობა ნახევარ მილიარდს;

მეორე, – არეგულირეთ შობადობა (ზედა მოთხოვნის შესაბამისად ცხადია! – ი.ლ.).

ასე რომ, ბილ გეიტსი და მისი თანამოაზრე სულიერი ძმები დეპოპულაციის გეგმებში ორჯერ უფრო გულკეთილები ჩანან – მათ ერთ მილიარდამდე აქვთ გადაწყვეტილი ჩვენი შემცირება ანუ, სულ რაღაც, შვიდი მილიარდი ადამიანის გაწყვეტა შიმშილობებით, ომებით, ეპიდემიებით!..

„ამერიკული სტოუნჰენჯი“ „უცნობმა პირებმა“ ა.წ. 6 ივლისს ააფეთქეს! მიუხედავად იმისა, რომ დაინგრა მხოლოდ ერთი კედელი, შტატის ხელისუფლებამ ძეგლის აღდგენის ან კონსერვაციის ნაცვლად, იცოდა რა მოსახლეობის დამოკიდებულება ძეგლის მიმართ, იმავე დღეს მიიღო ოპერატიული გადაწყვეტილება და, უსაფრთხოების მომიზეზებით, მეორე დილით მთლიანად დაანგრია იგი, რასაც მხურვალედ მიესალმნენ ქრისტიანები და მემარჯვენე პოლიტიკოსები, – მათ ეს ძეგლი „სატანისტურ“ მონუმენტად მიაჩნდათ. „ჩვენ მოხარულები ვართ, ჩვენ ვეთაყვანებით მხოლოდ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს და, არა – თვითმარქვიას და მამას მთელი სიცრუისას“, – განაცხადა არიზონას შტატის სენატორმა ვენდი როჯერსმა.

ჭეშმარიტად!

იაკობ ლეჟავა.

სალომე ზურაბიშვილმა ანსამბლი „ბერმუხა“ ღირსების ორდენით დააჯილდოვა!

„ბერმუხა“ საქართველოს სიამაყეა!

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ბერმუხას“ 18 წევრი ქართული ფოლკლორის განვითარებასა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის დააჯილდოვა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ფოლკლორული ანსამბლის „ბერმუხას“ წევრები: **თემურ აბულაძე, მუხამედ ირემაძე, რევაზ აბულაძე, იაკობ ადაძე, რევაზ ვანაძე, ოთარ ირემაძე, ოთარ კახაძე, ეუბ მგელაძე, იოსებ მგელაძე, შოთა სოლომონიძე, ჟენია სურმანიძე, ვაჟა ფასანიძე, შოთა შავაძე;** ანსამბლის ქორეოგრაფი **გურამ ბოლძვაძე და** აკომპანიატორები: **ზაურ ბოლძვაძე, გურამ თავართქილაძე, გია მელაძე, მერაბ ძიდელიძე.**

„ძალიან ბედნიერი ვარ დღეს, თქვენ ხართ ჩვენი აქ ჩამოსვლის მთავარი მიზეზი. მინდა, ამისთვის დიდი მადლობა გადაგიხადოთ. პირადად ჩემთვის ძალიან დიდი სიხარულია, რომ მოვახერხეთ ჩამოსვლა ზუსტად თქვენი 40 წლის იუბილეზე. პოზიტიური დღეები გვაქვს, მინდა, რაგბისტების გუშინდელი გამარჯვება, რომელიც მთელი საქართველოს გამარჯვებაა, თქვენც მოგილოცოთ და თქვენი იუბილე, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ეს არის ჩვენი კულტურის ზეიმი. თქვენ, სწორედ ამ უძველეს რეგიონში, ამ კულტურას და ამ ტრადიციებს წარმოადგენთ. ნიშანდობლივია, რომ ყველგან, სხვაგან წვიმს, აქ კი მზეა, რაც იმის ნიშანია, რომ ეს არაჩვეულებრივი ადგილია. ადგილი, სადაც თქვენ ამ უძველეს ტრადიციას აგრძელებთ, მართლაც დალოცვილია.

დავამატებდი იმასაც, რომ დღევანდელ დღეს, როცა ძალიან ბევრი საუბარია ევროპაზე, ზოგიერთებს რაღაცნაირად წინააღმდეგობაში მოჰყავთ ტრადიციები და ევროპა – ვითომც, თუ ევროპაში შევალთ, ამ ტრადიციებს დავკარგავთ. ეს პირიქითაა. ჩვენი ადგილი მრავალფეროვან ევროპაში სწორედ იმით იქნება გამაგრებული, რომ ჩვენ იქ შევდივართ ჩვენი ტრადიციებით, კულტურით, და ეს არის ის, რაც საუკუნეების მანძილზე აძლიერებდა მთლიანად საქართველოს; ეს არის ის, რაც სვალ საქართველოს იმ დიდ ევროპულ ოჯახში გააძლიერებს. ამიტომ, თქვენი მემკვიდრეობა და ტრადიციები ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დღევანდელ ზეიმშიც მონაწილეობენ. მათთვის თქვენ ძალიან დიდი მაგალითი ხართ და უღრმესი მადლობა ამ მაგალითისთვის“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა დაჯილდოების ცერემონიაზე.

„ბერმუხას“ დაჯილდოების ცერემონია ხულოში გაიმართა და მას პრეზიდენტთან ერთად ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი **ვახტანგ ბერიძე**, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მაია ხაჯიშვილი.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის **თორნიკე რიჟვაძის** განცხადებით, „ბერმუხას“, რომელიც ქვეყნის ეროვნული სიამაყეა და რომელსაც არაერთხელ წარმოუჩენია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ ხულო, აჭარა და ჩვენი ქვეყანა, არაერთხელ უსახელებია ქართული სული და ჟინი, ეს დიდი ღვაწლი დაუფასდა.

„მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ პრეზიდენტს ჩვენი თაოსნობის გაზიარებისთვის. როცა ვუყურებ ჩვენს „ბერმუხელებს“, მეტ მოტივაციასა და შემართებას გვაძლევს ყველას, რომ შეიძლება დიდი შემართებით, დიდი სულით და ამ დიდი ჟინით ძალიან ბევრი წელი წარმატებულად იყო ქვეყნის სამსახურში. დამსახურებული ღირსების ორდენი უფრო დიდ შემართებას მოგვცემს, რომ კიდევ უფრო შორს გავიტანოთ ჩვენი ქვეყნის სახელი“, – განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

„ნიკორასა“ და ART-გენის მეგობრობა გრძელდება!

ქართველი მსმენელის საყვარელი მუსიკალური ფესტივალი 15 ივლისს დაიწყება

ქართველი მსმენელის საყვარელი მუსიკალური ფესტივალი Art-გენი 2022 წელს ტრადიციულად ივლისის მეორე ნახევარში გაიმართება. ღონისძიება 15 ივლისს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში გაიხსნება. მუსიკალური საღამოები პარასკევს, შაბათსა და კვირას ჩატარდება. ფესტივალის უცვლელი პარტნიორია „ნიკორა“. „ნიკორასა“ და Art-გენის მეგობრობა გრძელდება და კომპანია ამჯერადაც ღონისძიების გენერალური სპონსორია.

დასკვნით კონცერტებამდე დღის განმავლობაში მოეწყობა, ქართული რეწვის გამოფენები, სხვადასხვა რეგიონის ფოლკლორული კონცერტები, ქართული სამზარეულოს კუთხეები.

ღონისძიების გენერალური სპონსორი „ნიკორა“ მისულ სტუმრებს სპეციალურად მოწყობილ მოსასვენებელ სივრცეებს შესთავაზებს, სადაც გართობისა და დასვენების ყველა პირობა იქნება შექმნილი. გარდა ამისა, მოეწყობა სარეალიზაციო კუთხე და „ნიკორას“ უგემრიელესი პროდუქციის დაგეგმოვნება იქნება შესაძლებელი.

„ნიკორა“ Art-გენის უკვე ტრადიციული მხარდამჭერია. ჩვენთვის ასეთი ეროვნული პროექტის პარტნიორობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს გახლავთ ფესტივალი, რომელიც ეროვნული მუსიკის, ფოლკლორის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. სადაც ქართული, ეროვნული საქმე კეთდება, „ნიკორაც“ მუდმივად იქაა“, – აცხადებენ კომპანიაში.

ფესტივალი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმის ძველ სცენაზე, ამფითეატრში – 15, 16, 17, 22, 23 და 24 ივლისს გაიმართება. თბილისის ტური, 15 ივლისს „სუხიშვილების“ კონცერტით გაიხსნება.

წლების მანძილზე Art-გენმა ბევრი ახალი ანსამბლის, ჯგუფის და მუსიკოსის ჩამოყალიბებას და განვითარებას შეუწყო ხელი. ცოცხალი და საავტორო მუსიკის პოპულარიზაციის ფარგლებში მისი დამსახურებით, არაერთი ნიჭიერი მუსიკოსი და ბენდი გაიცნო ფართო აუდიტორიამ.

აფხაზური მიწებით სამუდამოდ სარგებლობის უფლება მოსკოვისთვის საკმარისი არ აღმოჩნა. კრემლი მათი სტატუსის შეცვლასა და რუსეთის საკუთრებაში გადაცემას მოითხოვს. ამჯერად 12-წლიანი ისტორიის მქონე საკითხი გადაჭრითაა დასმული. „სამთავრობოთაშორისო შეთანხმების“ განახლებული ტექსტი აფხაზურ „პარლამენტს“ უკვე წარედგინა და როგორც ჩანს, საქმის დასრულებამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

საუბარია მიმდინარე წლის 19 იანვრის დოკუმენტის – „აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ობიექტის რუსეთის საკუთრებაში გადაცემისა და მისით სარგებლობის წესის შესახებ სამთავრობოთაშორისო შეთანხმების“ ახალ ტექსტზე. დოკუმენტის საგანს წარმოადგენს სახელმწიფო აგარაკების კომპლექსი ბიჭვინთაში და კგბ-ს მე-9 სამმართველოს სამხედრო ქალაქი ბიჭვინთა-მიუსერის ბიოსფერულ ნაკრძალში მასზე არსებული სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებითურთ, ჯამში – 186 ჰა ელიტური მიწა. ამასთან, შეთანხმების ტექსტში კონკრეტული ობიექტები და მიწის ნაკვეთების ფართობები მითითებული არაა, თუმცა ნათელია, რომ სახმელეთო ტერიტორიების გარდა, რუსეთს საკუთრებაში შიდა საგზვაო წყლების ნაწილიც გადაეცემა.

პუტინის რუსეთი – ქართველთა და აფხაზთა მიწებით გაუმაძღარი ლორი!

„საძმე გვაქვს თანამედროვე პრაქტიკისთვის იშვიათ შემთხვევასთან – ერთი სახელმწიფოს უძრავი ქონების მეორის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემასთან, მასზე ექსტერიტორიულობის პრინციპის გავრცელებით, იმ მიზნით, რომელიც დიპლომატიურ ურთიერთობებს არ უკავშირდება. ხსენებული შეთანხმება წინააღმდეგობაში მოდის აფხაზურ კანონმდებლობასთან“, – აცხადებს აფხაზი იურისტი **საიდ გეზერდავა**, რომელმაც თავის ფეისბუქ-გვერდზე დოკუმენტის ტექსტისადმი მთელი რიგი შენიშვნები გამოაქვეყნა. ასე, მაგალითად, იურისტის აზრით, აუცილებელია, შეთანხმების მე-5 პუნქტში დაზუსტდეს ნაკრძალის ტერიტორიაზე კაპიტალური მშენებლობის შესაძლებლობა, ასევე, ეკოსისტემისთვის ზიანის მიყენების დაუშვებლობა. გარდა ამისა, პროექტის თანახმად, რუსეთის სახელმწიფო ორგანოებს უფლება ეძლევათ, ობიექტის ტერიტორიაზე „სახელმწიფო ღონისძიებები აფხაზეთის ხელისუფლების ორგანოების საქმის კურსში ჩაყენებისა და მონაწილეობის გარეშე“ განახორციელონ, რაც, გეზერდავას აზრით, „რესპუბლიკის ტერიტორიული უზენაესობის რღვევას გამოიწვევს“. მეტიც, „შეთანხმებით“ გათვალისწინებულია, რომ „აფხაზეთის სახელმწიფო ორგანოებს ობიექტის ტერიტორიაზე მოხვედრა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლების ნებართვით შეეძლებათ“, რაც, იურისტის შეფასებით, „აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს არღვევს და შესაცვლელია“.

ერთი სიტყვით, ტექსტი საშინელია, ყოველგვარ ზღვარს სცდება. რაც მთავარია, საერთოდ გაუგებარია, რა საჭიროა ეს ყველაფერი? თავდაპირველი – ჯერ კიდევ ვლადისლავ არძინბას მმართველობისას ხელმოწერილი შეთანხმება ხომ რუსეთს სამუდამო სარგებლობის უფლებას ანიჭებდა! თუმცა მოსკოვმა რამე მოინდომოს და საბაბს ყოველთვის პოულობს – თუნდაც ალოგიკურს, თუნდაც გამოგონილს, თუნდაც სასაცილოს,.. ახლაც მან, რბილად რომ ვთქვათ, ორიგინალური საბაბი იპოვა: აქაოდა, საკუთრებაში გადაცემის გარეშე ინვესტირებას ვერ განვახორციელებო.

აფხაზური ოპოზიცია მსგავს შეთანხმებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება, თვლის რა, რომ ეს არაა არგუმენტი აფხაზეთის მიერ 186 ჰა საუკეთესო მიწის ვინმეს საკუთრებაში გადასაცემად – თუნდაც ეს „სტრატეგიული მეგობარი“ იყოს. „ეს არაა რუსეთი თავისი უკიდეგანო მიწა-წყლით, ეს პატარა აფხაზეთია, რომლის სანაპირო ზოლი სულ 200 კმ-ს შეადგენს“, – განმარტავს თავის პოზიციას „დეპუტატი“. წინააღმდეგია მოსახლეობაც.

„რუსეთი იმდენადაა დარწმუნებული აფხაზეთზე თავის აღმატებულებაში, რომ სინდისის ძენჯნის გარეშე გვაიძულებს ჩვენი სახელმწიფოსთვის გამანადგურებელი დოკუმენტების ხელმოწერას“, – აღშფოთებულები წერენ სოცქსელების აფხაზური სეგმენტის მომხმარებლები.

კვლავინდებურად წინააღმდეგია „აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატაც“, რომელმაც „შეთანხმების“ ახალი ტექსტი ამ დღეებში დახურულ რეჟიმში განიხილა მას შემდეგ, რაც გაგრისა და ბიჭვინთის „საკრებულოებმა“ შეშფოთებულებმა მიმართეს ხსენებულ ტერიტორიაზე გაურკვეველი სამშენებლო სამუშაოების დაწყების გამო. ისევე, როგორც წინა ჯერზე, ჯერ კიდევ 2010 წელს, „საზოგადოებრივი პალატის“ საბჭომ რეკომენდაცია მისცა „პარლამენტის“ წევრებს, სამართლებრივი ექსპერტიზისა და შესაბამისი მოსმენების გარეშე საკითხი სესიაზე განსახილველად არ გაეტანათ.

თუმცა პროფილური – „საერთაშორისო, საპარლამენტთაშორისო და თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტის“ წევრებმა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით საკითხი უახლოესი სესიის დღის წესრიგში მაინც შეიტანეს.

ბიჭვინთის ელიტურ მიწებზე პრეტენზიას მოსკოვი დიდი ხანია, აცხადებს და მათი დაკარგვის რისკით გამოწვეული შეშფოთება აფხაზეთში ამჟამინდელ პერიპეტიებზე ბევრად ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ წლების წინ რუსმა სამხედროებმა ბიჭვინთაში რამდენიმე ჰექტარი მიწა მიითვისეს, ხოლო რაკი სათანადო წინააღმდეგობას არ წააწყდნენ, მადა გაეზარდათ, მეტის მითვისება მოინდომეს და სანაპირო ზოლს დასახლებული ტერიტორიაც მიამატეს ადგილობრივთა სახლებითურთ. წამში გაჩნდა მავთულხლართი და საკონტროლო-გამშვები პუნქტი. მოსახლეობას მისი ნების საწინააღმდეგოდ შეუცვალეს ჩაწერის ადგილი და მიტოვებულ საერთო საცხოვრებლებში გაამწესეს. რუსეთის დაცვის ფედერალური სამსახურის კავკასიური ბიუროს თანამშრომლების ამ უმსგავსო მოქმედების მიმართ ყურადღების მიპყრობას დრო დასჭირდა, თუმცა მერეც მოსახლეობამ დიდს ვერაფერს მიაღწია. რუსულმა ძალოვანმა უწყებამ, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტ პუტინს ექვემდებარება, არათუ უკან არ დაიხია, შემდგომ წლებში გულმოდგინედ ზრდიდა მიტაცებული მიწების ფართობს.

გასული წლის ზაფხულში, როცა აფხაზურ „პარლამენტს“ წარუდგინეს „შეთანხმების“ პროექტი, რომელიც რუსეთის დაცვის ფედერალური სამსახურისთვის 1 პირობით რუბლად „ბიჭვინთის“ სახელმწიფო აგარაკის (184 ჰა საერთო ფართის მიწის ნაკვეთისა და აკვატორიის მოსაზღვრე მონაკვეთის, ანუ, ფაქტობრივად, ბიჭვინთის მთელი აღმოსავლეთ ნაწილის) გადაცემას ითვალისწინებდა, ვითარება უკიდურესად დაიძაბა. თავის საჯარო გამოსვლებში რიგმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა პირველად გაბედეს, რუსეთის ძმედებები „აფხაზური მიწების მიტაცებად“ შეეფასებინათ.

გასული წლის ბოლოს კი აგორდა მორიგი სკანდალი, ამჯერად, ბიჭვინთის სანაპიროსა და ფიჭვნარის სიახლოვეს მდებარე 45 ჰა მიწის ირგვლივ. საუბარი იყო 5-ვარსკვლავიანი სასტუმროსა და აპარტამენტების მშენებლობის პროექტზე, რომლის პრეზენტაციას „პრეზიდენტი“ ასლან ბჟანია, „პრემიერი“ ალექსანდრე ანქვაბი, „პარლამენტისა“ და „მთავრობის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. პროექტის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ტკაჩოვმა მადლობა გადაუხადა აფხაზეთის პირველ პირებს „რუსული მხარისთვის მიცემული თანხმობის გამო“ და იქვე წამოსცდა, რომ „მოხერხდა 45 ჰა უნიკალური ტერიტორიის გამოსყიდვა“. ეს მაშინ, როცა აფხაზეთის „კონსტიტუციაც“ და „სამოქალაქო კოდექსიც“ მიწას ხალხის საკუთრებად განსაზღვრავს და მის შეძენა-გასხვისებას კრძალავს. „გვარწმუნებდნენ, გაყიდვაზე არაა საუბარი, საუბარი ინვესტორების მოზიდვაზეაო. რეალურად კი, მიდის მიწით ვაჭრობა კოლოსალურ მასშტაბებში. აფხაზეთი აუქციონზეა გატანილი“, – აღშფოთებული იყო აფხაზური საზოგადოება.

თუმცა „სტრატეგიულმა მეგობარმა“ აფხაზეთში საკუთარი ინტერესების გატარება – სხვადასხვა საბაბით მიწების მითვისება განაგრძო. და ბიჭვინთა მის სიაში ერთადერთი „მსუყე ლუკმა“ როდია. ლიძავა, გალის რაიონი, ტყვარჩელის, გულრიფშისა და გაგრის რაიონების ცალკეული მთიანი ტერიტორიები, სადაც რუსებმა გაურკვეველი დანიშნულების შენობების აგება წამოიწყეს, – მოსკოვის მიერ მისაკუთრებული მიწების ჩამონათვალი ყოველწლიურად იზრდება.

იმავე 2021 წელს, მაგალითად, აგორდა სკანდალი რუსების მიერ სოფელ აიბღაში ხიდის უნებართვო მშენებლობის გამო. შემდგომში გაირკვა, რომ რუსეთს ეს სოფელი რეესტრში უკვე თავის საკუთრებად ჰქონდა გაფორმებული. ამ ამბის გახმაურების შემდეგ მოსკოვი სოხუმს რეესტრიდან შესაბამისი ჩანაწერის ამოღებას დაჰპირდა, თუმცა პირობა არათუ არ შეასრულა, პირიქით, რეესტრში აფხაზური სოფლის მთელი უძრავი ქონებაც ჩაამატა, მიშენებებისა და ბოსლების ჩათვლით.

აიბღას ირგვლივ აჟიოტაჟის გათვალისწინებით, ბიჭვინთაში ღიად მოქმედება რუსეთმა, როგორც ჩანს, მიზანშეუწონლად ჩათვალა და ამჯობინა, ჩუმად შეთანხმებულიყო დე ფაქტო ხელისუფლებასთან დაცვის ფედერალური სამსახურისთვის უზარმაზარი ტერიტორიისა და სანაპირო ზოლის გადაცემაზე. ეს „ჩუმად“ კი მოიცავდა არა მარტო ხალხის ზურგს უკან მოქმედებას, არამედ პირდაპირ შანტაჟსაც. **„თუ უახლოეს ხანებში ტერიტორია რუსეთს საკუთრებაში არ გადაეცემა, მოგვივა დიდი ანგარიში ელექტროენერგიის მოწოდებისთვის, მივიღებთ კოლაფსს რუსეთთან საზღვარზე, ასევე საინვესტიციო პროგრამის, სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქტების, საწვავისა და ბევრი სხვა რამის მოწოდების შეწყვეტას. ამდენად, არჩევანი მარტივია, განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკა უმძიმეს პერიოდს გადის“,** – გაგვიმხილა მაშინ პირად საუბარში აფხაზეთის „პრეზიდენტის ადინისტრაციის“ წარმომადგენელმა. ხოლო ოდნავ მოგვიანებით ეს შანტაჟი ირიბად დაადასტურა თავად „პრეზიდენტმა“ ბჟანიამაც, განაცხადა რა, რომ რუსეთის დაცვის სახელმწიფო სამსახურისთვის მიწების გადაცემის საკითხი „პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა პირადად დააყენა დღის წესრიგში“.

რაკი პირადად პუტინმა დააყენა, რაღა მნიშვნელობა აძვს აფხაზური საზოგადოების პოზიციას?! – ასე თვლიან, როგორც ჩანს, არა მარტო მოსკოვში, არამედ უკვე ბჟანიას გუნდშიც. აფხაზეთის „სტრატეგიული მეგობარი“ ეცდება, ადგილობრივთა წინააღმდეგობის მიუხედავად, თავისას მიაღწიოს. და როგორც ჩანს, აფხაზური „პარლამენტის“ ახალი შემადგენლობა, რომელშიც მოსკოვის წნეხის ძვეშ „გამტყდარ“ ბჟანიას გუნდს გაცილებით მეტი „თავისი კადრი“ ჰყავს, მზადაა, კრემლს ამ მიზნის მიღწევაში დაეხმაროს.

ეკა ცანავა

რუსიფიკაცია გრძელდება

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო მკაცრად გმობს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განკარგულებას, რომლის მიხედვითაც, უკრაინაში მუდმივად მცხოვრებ ადამიანებს რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული პროცედურით მიღებას სთავაზობენ.

უკრაინის საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ კრემლის აღნიშნული ნაბიჯი უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაა.

ზელენსკი ვერ აცნობიერებს, რომ პუტინი ოკუპანტი კია, მაგრამ სულელი არაა!

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ კანადის გადაწყვეტილებას გერმანიაში Nord Stream-1-ისთვის ტურბინის დაბრუნების შესახებ საშიში პრეცედენტი უწოდა.

„ახლა ეჭვგარეშეა, რომ რუსეთი შეეცდება, არა მხოლოდ მაქსიმალურად შეზღუდოს, არამედ მთლიანად შეაჩეროს ევროპისთვის გაზის მიწოდება ყველაზე კრიტიკულ მომენტში. ეს არის ის, რისთვისაც ჩვენ ახლა უნდა მოვემზადოთ.

ყოველი დათმობა ასეთ პირობებში რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ აღიქმება, როგორც უფრო ძლიერი ზეწოლის სტიმული. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შესაძლებელია ამ ერთი ტურბინის შესახებ გადაწყვეტილების გადახედვა, რაც ბევრ პრობლემას იწვევს. რუსეთს არასდროს უთამაშია წესებით ენერგეტიკულ სექტორში და არც ახლა ითამაშებს, თუ ძალას არ დაინახავს“, — აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.

გადადგეს ერმაკი!!!

ამერიკელმა კონგრესმენმა ვიქტორია სპარცმა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ანდრეი ერმაკს გადადგომისკენ მოუწოდა.

„დიდი ხანია, ბევრ ამერიკელსა და ევროპელს სერიოზული ეჭვი აქვს ერმაკთან დაკავშირებით. როგორც საეჭვო რეპუტაციის ადამიანი, ის ჯერ კიდევ ზამთარში დატოვებდა თანამდებობას, როდესაც უკრაინის ხელმძღვანელობა დაარწმუნა, რომ რუსეთის მხრიდან თავდასხმა არ მოხდებოდა, რამაც უკრაინის ომისთვის მზადყოფნა შეამცირა, მაგრამ არასდროსაა გვიან სწორად მოქცევა“, — აცხადებს კონგრესმენი.

მოსახლეობის ევაკუაცია გრძელდება...

ამჟამად, დონეცკის რეგიონში, დაახლოებით 340 000 (ანუ მოსახლეობის 20,4%) ადამიანი რჩება, დანარჩენი უკვე უსაფრთხო ადგილებშია ევაკუირებული.

„24 თებერვლის მდგომარეობით, დონეცკის ოლქის მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები 1 670 000 ადამიანი აღირიცხებოდა. ახლა იქ დაახლოებით 340 000 ადამიანია დარჩენილი“, — განაცხადა დონეცკის რეგიონული სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პავლო კირილენკომ. მისივე თქმით, ეს საკმაოდ დიდი რიცხვია და დარჩენილი ადამიანები ასევე საჭიროებენ უკრაინის მთელ ტერიტორიაზე, შედარებით უსაფრთხო ზონებში გადაყვანას.

ირანი რუსეთთან თანამშრომლობს

ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს ინფორმაცია, რომ ირანი რუსეთისთვის უპილოტო საფრენი აპარატების გადასაცემად ემზადება, ამის შესახებ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველმა, ჯეიკ სალივანმა განაცხადა.

სალივანის თქმით, ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ ეტაპზე დაზუსტებით არ შეუძლია იმის თქმა, გადასცა თუ არა უკვე ირანმა რუსეთს საფრენი აპარატები. სალივანი აღნიშნავს, რომ რუსეთმა უკვე მარცხი განიცადა უკრაინაში საკუთარი დასახული მიზნების მიღწევაში, რადგან მათი ერთ-ერთი მთავარი სამიზნე კიევი იყო.

საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსმა გიორგი ტატიშვილმა ამ რამდენიმე დღის წინათ ეთერში განაცხადა, რომ ქვეყანაში 16 მილიარდი მეტრ კუბის მოცულობის ბუნებრივი აირის საბადოს არსებობა დადასტურდა.

ბუნებრივი აირი თბილისის მახლობლად, კომპანია „შლუმბერჟეს“ მიერ ჩატარებული ჭაბურღილით დადასტურდა. ამჟამად, ლიცენზიის ოპერატორია კომპანია „ბლოკ ენერჯი“, რომლის აქციებიც ლონდონის საფონდო ბირჟაზე ივაჭრება. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფერო სწორედ საქართველოში ნავთობისა და გაზის ძიებაა. კომპანია IX და XI (B) ბლოკებიდან რესურსების მოპოვების უფლების მფლობელია.

ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსის განცხადებით, სალიცენზიო ბლოკი ჰორიზონტალურ ბურღვებს საჭიროებს, ამასთან, მისი ათვისების პირობებში, ქვეყანას რვა წლის ბუნებრივი აირის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება შეეძლება.

„ბლოკ ენერჯი“ ჩვენი ერთ-ერთი პერსპექტიული პროექტია, შლუმბერჟეს გაბურღილ ჭაში, იმ მიმდებარე არეალში 16 მილიარდი კუბური მეტრის მარაგია დადასტურებული. ეს დაახლოებით რომ წარმოიდგინოთ, საქართველოს 8 წლის მოხმარების ტოლია მთლიანად.

„ბლოკ ენერჯი“ უბრუნდება ამ პროექტს უკვე დადასტურებული გეგმით, სავარაუდოდ ეს დაიწყება ამ წლის ბოლოს ან მომავალი წლის დასაწყისში. აქ ჩასატარებელია ჰორიზონტალური ბურღვები, რათა უფრო მეტი ქანი მოიცვას და უფრო მეტი კომერციული გაზი მოიპოვოს. ამის პარალელურად, ძველ ჭაბურღილებშიც აკეთებს ჰორიზონტალურ ბურღვებს „ბლოკ ენერჯი“, რამაც 80%-ით გამოიწვია გაზის ამოღების ზრდა. „ბლოკ ენერჯის“ აქვს 30 მილიონი კუბური მეტრის ამოღების შესაძლებლობა, რაც არის მაგალითად, თელავის ან საგარეჯოს მოხმარების ტოლი. მას შემდეგ, რაც ამ ჭაბურღილს აითვისებს, ეს ციფრები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი იქნება“, — განაცხადა გიორგი ტატიშვილმა.

ფინანსური ანგარიშის თანახმად, 2021 წელს „ბლოკ ენერჯის“ 46.1 მილიონის შემოსავალი და 4.8 მილიონი დოლარის ზარალი ჰქონდა. კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაცია, ანუ მისი აქციების ღირებულების ჯამი 9.4 მილიონი გირვანქა სტერლინგია. კომპანიის ერთი აქცია 1.35 გირვანქა სტერლინგი ღირს.

გიორგი ტატიშვილი:

საქართველოში 16 მლრდ მეტრ კუბის გაზის საბადო დადასტურდა!

მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარება 90 პროცენტამდე გაიზრდება!

ზურაბ აზარაშვილი: „დიარჯი“ სისტემა ჩამოაყალიბებს სამართლიან ტარიფს კლინიკებისთვის!

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ბრიფინგზე ისაუბრა „დიარჯი“ (DRG) სისტემაზე, რომლის მეთოდითაც დააფინანსებს სახელმწიფო კლინიკებს.

ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, 2030 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია, თუ რომელ წელს რა ეტაპზე უნდა იყოს ჯანდაცვის დაფინანსება. ამასთან, ჯანდაცვის მინისტრმა ისაუბრა იმ სიკეთეებზე, რაც „დიარჯი“ სისტემის სრულყოფილად დანერგვის შემთხვევაში იქნება.

...„რაც შეეხება „დიარჯის“ სისტემას და კლინიკების ტარიფებს, ჩვენ, 2030 წლამდე სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ გვაქვს გაწერილი, რომელ წელს რა ეტაპზე უნდა ვიყოთ ჯანდაცვის დაფინანსების კუთხით. 2030 წლის ბოლომდე უნდა ავიდეთ 90-95-პროცენტიან დაფარვაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სამედიცინო მიმართულებით დახმარება თუ დასჭირდება, სახელმწიფო მზად იქნება მათ დასახმარებლად. დღეს ეს ნიშნული არის 70 პროცენტის ფარგლებში. გვაქვს მზაობა, რომ დავაფინანსოთ სამედიცინო სერვისები და სამედიცინო სერვისები იყოს რაც შეიძლება მაღალი სტანდარტის, მაღალი ხარისხის იმისთვის, რომ დარწმუნებული ვიყოთ, ჩვენს მოქალაქეებს მკურნალობენ შესაბამის გარემოში შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმები და არის შესაბამისი მედიკამენტები გამოყენებული“, — განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

ზურაბ აზარაშვილის ინფორმაციით, სექტემბერ-ოქტომბერში „დიარჯის“ სისტემა უკვე ყველა კლინიკაზე გავრცელდება და კლინიკებს ეტაპობრივად რა სტანდარტებსაც მოსთხოვენ, უნდა იყოს დაკმაყოფილებული.

„მოგეხსენებათ, აპრილიდან გაშვებულია, დაწყებული გვაქვს საპილოტე რეჟიმში, სექტემბერ-ოქტომბერში კი ვგეგმავთ, რომ კლინიკებზე გავავრცელოთ, ხოლო წლის ბოლოდან უკვე ყველა კლინიკაზე გავრცელდება. ჩვენი აზრით, ეს ჩამოაყალიბებს იმ სამართლიან, ადეკვატურ ტარიფს, რომელსაც სახელმწიფო გადაუხდის ამა თუ იმ სამედიცინო სერვისს. გული მწყდება, რომ მუდმივად აპელირება მხოლოდ ფინანსურ ნაწილზე. ჩვენ მხოლოდ ფინანსურს არ ვჯერდებით და აუცილებელი, მნიშვნელოვანია, ხარისხი იყოს ადეკვატური და ამავე დროს ფინანსური ნაწილიც იყოს მოწესრიგებული. სტანდარტები, რა სტანდარტებსაც ჩვენ მოვთხოვთ ეტაპობრივად კლინიკებს, ეს სტანდარტები იყოს დაკმაყოფილებული“, — აღნიშნა ზურაბ აზარაშვილმა.

სტანდარტების დაკმაყოფილებასა და ხარისხიან მომსახურებაზე საუბრისას ზურაბ აზარაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს კლინიკებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებები, რათა მოქალაქეებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. მისივე ინფორმაციით, შემოწმება მხოლოდ ერთჯერადი არ არის.

„კიდევ ერთხელ დაგიდასტურებთ, რომ აქტიურად მიმდინარეობს ინფექციის კონტროლის ღონისძიებები, რათა მოქალაქეებმა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი, როცა ესა თუ ის ოპერაცია უტარდებათ. ამას უკვე მიეცა სისტემური ხასიათი. შემოწმება არ არის ერთჯერადი, რომ შევედით მოვალეობის მოხდის მიზნით, ვნახეთ, არსებობს ინფექცია, არ არის და წამოვედით. უკვე არის კლინიკები, სადაც ორჯერ და ზოგ შემთხვევაში, სამჯერაც მივიდნენ, რადგან ჩვენ ვიდრე სისტემურად არ მოვაწესრიგებთ, ამას თავს არ დავანებებთ. კლინიკები, რომლებიც, სამწუხაროდ, ვერ შეძლებენ, რომ უზრუნველყონ ადეკვატური მკურნალობა და ხარისხი, მოგვიწევს მათი საყოველთაოდან ჩახსნა და შემდეგ კიდევ უფრო მძიმე სანქციების გატარება“, — განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.

ძალიან საჭირო...

ლელო, ლელო, საქართველო! გილოცავთ!

ძართული **სპორტის ოქროს ზაფხული გრძელდება. მართლაც, ჯერ ბოლომდე არ დავმტკბარვართ კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების უმნიშვნელოვანესი წარმატებით, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან – ესპანელებთან მოპოვებული გამარჯვება რომ ჰქვია, უკვე „ბორჯღალოსანთა“ ტრიუმფს ვზეიმობთ.**

დიახ, ექვსი ერის ბინადარ იტალიელებთან გამოჭედილი ძლევაი საკვირველი სცილდება აქამდე უხვად დაგროვებულ მიღწევათა ფარგლებს და ქართული სარაგბო თემის ნახევარსაუკუნოვანი საშვილიშვილო ნამოღვაწარის საშუალედო გვირგვინს წარმოადგენს, ჯერარნახულ აღზევებაში რომ უნდა გადაიზარდოს.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არაფერი დაშავდება, თუ 10 ივლისი ქართული რაგბის დღედ გამოცხადდება, რითაც დამსახურებულად დაფასდება საქართველოს რაგბის კავშირისა თუ ქვეყნის ნაკრების ყოფილ და მოქმედ თავკაცთა, აგრეთვე იმ თაობათა ამაგი, ერთხელ მაინც რომ მოურგია „ბორჯღალოსანთა“ კვართი.

ბათუმი. აჭარბეთ არენა

საქართველო - იტალია 28:19 (19:13)

საქართველო (15-9): ნინიაშვილი, ტაბუცაძე, კვესელაძე, შარიქაძე, თოდუა (თაფლაძე), აბჟანდაძე, ლობჟანიძე (აფრასიძე); (1-8): გოგიჩაშვილი (აბულაძე), მამუკაშვილი (ჭყოიძე), გიგაშვილი (ჯაფარიძე), ჭეიშვილი (ჩაჩანიძე), ჯაიანი, გიორგაძე (მამამთავრიშვილი), საღინაძე, გორგაძე.

3 ლელო: თოდუა, აბჟანდაძე (2); **2 გარდასახვა:** აბჟანდაძე; **3 საჯარიმო:** აბჟანდაძე (2), აფრასიძე.

მთავარი მწვრთნელი: ლევან მაისაშვილი.

მსაჯი. ბრენდონ პიკერილი (ახალი ზელანდია).

როგორც მოგეხსენებათ, „სკუადრა აძურასთან“ ძველი ანგარიშები გვქონდა (და ჯერჯერობით გვაქვს კიდეც) გასასწორებელი – გარდა იმისა, რომ აქამდე გამართულ ოთხივე ბრძოლაში დაგვამარცხა, აპენინელები უშუალო კონკურენტებად ითვლებიან ჩვენთვის სანუკვარ 6 ერში დასაწინაურებლად. ჰოდა, ვიდრე საერთაშორისო სარაგბო სტრუქტურების ბობოლა მამები ვითარების განსამუხტავად რაიმე კონკრეტულ გამოსავალს მოიფიქრებენ და დასავლური კონსერვატორული აზროვნების მარწუხებიდან განთავისუფლდებიან, ხომ არ აჯობებდა ელიტური ტურნირი 7 ერად ექციათ და თავსატეხი მარტივად გადაეჭრათ? თავის დროზე ხომ მსგავსი სცენარით განხორციელდა დამფუძნებელი 4 ერის რაოდენობის გაზრდა? კი ბატონო, უკვე აწყობილი მექანიზმისა და კომერციული პირამიდის რეფორმა შესაძლებელია, მტკივნეულ პროცესად აღიქმებოდეს მავანთათვის, მაგრამ ხომ გარდაუვალია ოდესმე რჩეულთა იდილიის დარღვევა შესანიშნავ შვიდეულად გარდაქმნის სახით?

რაც შეეხება ზღაპრულ ზღვისპირეთში განვითარებული ისტორიული მოვლენების უშუალოდ სპორტულ მხარეს, ვინაიდან წერილი საკალათბურთო სიზმრით დავიწყეთ, პარალელსაც იმ დიდი მატჩის ჭაბუკი გმირის **რატი ანდრონიკაშვილის** მაგალითთან გავავლებ და უკლებლივ ყველა პარტნიორის თავგანწირული თამაშის მიუხედავად, განსაკუთრებით დავით ნინიაშვილს შევაქებ, რომელიც, ახალგაზრდის კვალობაზე, უკვე ოვალური ბურთის დიდოსტატი და გუნდის ჭეშმარიტი ლიდერია.

აღარაფერს ვამბობ მთავარ მწვრთნელ **ლევან მაისაშვილზე,** რომელიც შარშან სასწაულით დაუსხლდა კლანჭებიდან მომაკვდინებელ კოვიდვირუსს და დღეს შეგირდთა ზეობით ხარობს!

და ბოლოს: ერისა და ბერის, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობა, რასაც შარავანდედი „ქართუ“ ბანკისა და პირადად ბიძინა ივანიშვილის განხორციელებულმა სოლიდურმა ინვესტიციამ და „100 სარაგბო სტადიონის“ პროექტმა დაადგა. მოკლედ, 10 ივლისი ჰაერიდან არ მოსულა. გაგრძელება იქნება!

მერაბ შარიძაძე („ბორჯღალოსანთა“ კაპიტანი): – „ასეთი თამაში არ მახსენდება. სასწაული ქომაგობა იყო. 100 წლის რომ გავხდე, ამას მაინც გავიხსენებ.

ამდენი წელი იტალიას კარზე უკაკუნებდა ხალხი, ჩვენი წინა თაობები. ამ ადამიანთა შრომა დავაფასეთ და მიხარია, რომ წინ ღირსეული ნაბიჯი გადავდგით. დიახ, უმნიშვნელოვანესი შეხვედრის მოგებით დღეს ყველა თავაწეულია!“

◎ ლეგიონერი

კვარადონა ემზადება

„ნაპოლი“ სეზონისთვის მზადებას აგრძელებს და ხვიჩა კვარაცხელიაც გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

ქართველი ფეხბურთელის შესახებ იტალიური მედია წერს და იტყობინება, რომ ლუჩანო სპალეტის ტაქტიკურ დარიგებებს ყურადღებით ისმენს.

„რვა-რვის წინააღმდეგ მატჩის დროს ლუჩანო სპალეტიმ ხვიჩა კვარაცხელია თავისთან ორჯერ მოიხმო. ქართველის ბრალი რა იყო? ორჯერ არასწორი დიაგონალური პასი გააკეთა“, – თქვა ჟურნალისტმა ჯოვანი სკოტომ Tele A-ს ეთერში საუბრისას.

თუმცა, როგორც ნეაპოლიტანური გამოცემა Areanapoli წერს, საგანგაშო არაფერია, ეს ჩვეულებრივი საწვრთნელი შენიშვნა იყო, რომელზეც ქართველმა ფეხბურთელმა სწორი რეაგირება მოახდინა.

„ქართველმა ფეხბურთელმა განსაკუთრებული ყურადღებით მიიღო ლუჩანო სპალეტის ტაქტიკური დარიგება, რადგან იცის, რომ სერია A ტაქტიკურად მსოფლიოში ყველაზე რთული ჩემპიონატია. ხვიჩამ შეკრების პირველ დღეებში ძალიან კარგი ტაქტიკური თვისებები აჩვენა და ასევე შეუძლია აკრობატული დარტყმები. თუმცა, ჯერ რა თქმა უნდა, ტაქტიკური თვალსაზრისით დისციპლინა დასახვეწი აქვს“, – წერს იტალიური ვებგვერდი.

შეგახსენებთ, რომ „ნაპოლი“ ახალი სეზონისთვის დიმაროში ემზადება და უკვე სამი დღეა საწვრთნელი პროცესი მიმდინარეობს. ნეაპოლელები სერია A-ს პირველ ტურში 14 აგვისტოს, სტუმრად „ვერონას“ შეხვდებიან.

◎ ტატამზე

ოქროც იქნება

უკვე გაუწყეთ, რომ ბუდაპეშტის გრანდ სლემი 3 მედლით დავიწყეთ (ვერცხლი – ლუხუმ ჩხვიმიანი და ლაშა შავდათუაშვილი, ბრინჯაო – თემურ ნოზაძე).

უნგრულ ტატამზე ფინიშზეც ღირსეულად ვიჭიდავეთ, მაგრამ ამჯერად ოქროს ვერ შევწვდით.

არადა, მიზანთან ახლოს იყო დიდ სპორტში დაბრუნებული ჩვენი ლეგენდა ვარლამ ლიპარტელიანი (100). მან ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა სერბი, გერმანელი, ბრაზილიელი და დანიელი მეტოქეები, მაგრამ ფინალი ვაზარით წააგო იაპონელ კენტარო იდასთან. საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ააბიჯა ბექა ღვინიაშვილმა, რომელმაც „ჯვაროსანთა“ დელეგაციას მეხუთე ჯილდო, აქედან მეორე ბრინჯაო მოუტანა.

◎ კორტზე

ასეც ვიცოდით

მოსახდენი მოხდა – ნოვაკ ჯოკოვიჩმა ზედიზედ მეოთხედ, სულ კარიერაში კი მე-7-დ მოიგო უიმბლდონი და ამ მაჩვენებლით მხოლოდ 8-გზის ტრიუმფატორ როჯერ ფედერერს ჩამორჩება. სხვათა შორის, აქამდე ინგლისურ კორტზე მსგავსი სერია მხოლოდ ბიორნ ბორგს, პიტ სამპრასსა და იმავე როჯერ ფედერერს ჰქონდათ.

მოვლენათა ასეთი განვითარება კიდევ უფრო რეალური მას შემდეგ გახდა, რაც მუცლის კუნთის გაწყვეტის გამო ტურნირს რაფაელ ნადალი გამოეთიშა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ფინალში ავსტრალიელმა ნიკ კირგიოსმა მრისხანე მეტოქეს, რომელსაც აქამდე ორჯერვე სძლია, ტრადიციისამებრ, პირველი პარტია მოუგო, მაგრამ საბოლოოდ 4 სეტში სავსებით ლოგიკურად დამარცხდა.

◎ მსოფლიო თასი

დუეტის მედლები

საქართველოს ეტლით მოფარიკავე ქალთა ნაკრებმა ვარშავის მსოფლიო თასზე ორი მედალი მოიპოვა: ირმა ხეცურიანი ვერცხლს, ხოლო ნინო თიბილაშვილი ბრინჯაოს დაეუფლა.

ორივე მათგანმა მედლები რაპირით ფარიკაობაში დაისაკუთრა. ხეცურიანმა ნახევარფინალში ამერიკელი ელენ გედესი ანგარიშით 15:12 დაამარცხა, თუმცა, ფინალური შეხვედრა ტაილანდელ სან სუნ იანასთან 15:7 წააგო, თიბილაშვილმა კი ნახევარფინალი უნგრელ ევა ჰაიმსთან ანგარიშით 15:10 დათმო და მესამე ადგილი დაიკავა.

ინგლისის სანაპიროსთან ჩაძირული სამეფო გემი აღმოაჩინეს

აღმოსავლეთ ინგლისის წყლებში აღმოაჩინეს 1682 წელს ჩაძირული ბრიტანული სამხედრო გემი, რომლის ეკიპაჟში მომავალი მეფეც შედიოდა. მეცნიერებმა აღმოჩენას უკვე უწოდეს ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული საზღვაო აღმოჩენა, მას შემდეგ, რაც 1982 წელს წყლიდან ხომალდი „მერი როუზი“ ამოიღეს.

ჩაძირული გემის დაცვის მიზნით, კვლევითი სამუშაოები ბოლო 15 წლის განმავლობაში, გასაიდუმლოებულად მიმდინარეობდა.

გემი, სახელად „გლოსტერი“ ზღვის ფსკერზე ნახევრად იყო ჩამარხული. პირველად მას 2007 წელს, ძმებმა ჯულიან და ლინკოლნ ბარნუელებმა მიაგნეს ნორფოლკის სანაპიროებთან ოთხწლიანი ძებნის შემდეგ.

1682 წლის 6 მაისს, სამეფო ფლოტის ხომალდს ინგლისის მომავალი მეფე, შემდეგ კი იორკის ჰერცოგი ჯეიმზ სტიუარტი გადაჰყავდა, როდესაც ქვიშიან, თავთხელ მეჩეჩზე შეჯდა.

მისი ჩაძირვის შემდეგ დავა გაჩაღდა ყოფილ ლორდ-ადმირალს, ინგლისის მომავალ მეფე ჯეიმზ II-სა და გემის კაპიტანს შორის, რადგან გემი მაშინ ნორფოლკის არასაიმედო, ქვიშიან ნაპირებთან მიცურავდა.

აღმოსავლეთ ანგილიის საზღვაო ისტორიის ექსპერტი კლერ ჯოვიტი შენიშნავს, აღმოჩენის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის გემის ასაკი და პრესტიჟი, შენახვის ხარისხი, უკვე ამოტანილი ნივთები და კატასტროფის პოლიტიკური კონტექსტი.

კატასტროფას ასობით მგზავრი და ეკიპაჟის წევრი ემსხვერპლნენ, მაგრამ ძლივს გადარჩა თავად სტიუარტი, რომელსაც გემის დატოვება ბოლო წუთამდე არ სურდა.

„ჩაძირვის გარემოებათა გამო, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვაო აღმოჩენა 1982 წელს წყლიდან გემ „მერი როუზის“ ამოღების შემდეგ“, — აღნიშნავს მკვლევარი.

მეფე ჰენრი VIII-ის ერთ-ერთი სამხედრო გემი, „მერი როუზი“ 1545 წელს ჩაიძირა; საზღვაო არქეოლოგებმა წყლიდან ის 1982 წელს ამოიტანეს და ძალიან ბევრი ახალი ინფორმაცია მიიღეს ტიუდორების ეპოქის ცხოვრების შესახებ.

ხის გემი თითქმის მთლიანად იყო ზღვის ფსკერში ჩამარხული, მრავალწლიანი დაუღალავი შრომის შემდეგ, მოხერხდა მისი დაახლოებით მესამედის ამოტანა. „მერი როუზიდან“ ამოიტანეს ქვემეხების ხის ლაფეტები, სამზარეულოს ქვაბები, სკალპელები, წიგნის ტყავის ყდები, შპრიცები, ვიოლინოები, სასტვენები, იარაღები, სანავიგაციო მოწყობილობები, ავეჯი. შედეგად, ისტორიკოსებს ხელში ჩაუვარდათ ტიუდორების ეპოქის ნამდვილ არტეფაქტთა უდიდესი კოლექცია. „გემი „გლოსტერი“ წარმოადგენს ბრიტანეთის პოლიტიკური ისტორიის მნიშვნელოვან მომენტს: სამეფო ხომალდის ჩაძირვისას კინაღამ დაიღუპა პროტესტანტული ტახტის კათოლიკე მემკვიდრე, თანაც იმ დროს, როდესაც დიდი იყო პოლიტიკური და რელიგიური დაძაბულობა“. ჩაძირულ გემზე აღმოჩენილ ნივთებს 2023 წელს გამოფენენ ნორვიჩის ციხის მუზეუმში; მათ შორის იქნება ზარიც, რომლითაც მოხდა გემის იდენტიფიცირება.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

მომზადებულია uea.ac.uk-ისა და Agence France Press-ის, Business Insider-ის მიხედვით.

არდავიწყება

გივი მაყაშვილი

საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმი, მეან-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი გივი მაყაშვილი.

ბატონი გივი იყო ექიმთა გამორჩეული თაობის ღირსეული წარმომადგენელი. 1969 წლიდან 2007 წლამდე ის მოღვაწეობდა პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში და თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრაზე. ის წლების განმავლობაში პირნათლად ემსახურებოდა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

გივი მაყაშვილი იყო ბრწყინვალე ოპერატორი. მის მიერ ჩატარებული ოპერაციები გამოირჩეოდა აკადემიური შესრულებით. ის დაჯილდოებული იყო პედაგოგიური ნიჭით და მრავალი ახალგაზრდა ექიმი დაახელოვნა ამ ურთულესი პროფესიისა და ოპერაციული ტექნიკის ათვისებაში. ის უანგაროდ გადასცემდა თავის გამოცდილებას და ცოდნას ახალგაზრდა კოლეგებს. ბატონი გივი აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო საქმიანობაში. მის მიერ გამოქვეყვებულა 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

ბატონმა გივიმ განვლო ცხოვრების რთული, მაგრამ სახელოვანი გზა. იყო ბრწყინვალე პიროვნება, კეთილსინდისიერი, დიდი გულის, ჭირში და ლხინში ყველას გვერდით მყოფი ადამიანი. გამოირჩეოდა თავმდაბლობით, ადამიანობით, კაცური კაცობით, მოქალაქეობით და მამულიშვილობით. იყო შესანიშნავი ორატორი, როგორც სამეცნიერო პრაქტიკული საქმეების გარჩევაში, ასევე ქართული სუფრის შესანიშნავი თამადა.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პიროვნება, ბრწყინვალე ექიმი და პედაგოგი, კარგი მამა და გულისხმიერი ადამიანი.

ბატონი გივის ღირსეული სახელი დიდხანს დარჩება მოსაგონებლად.

სს ჩაჩავას კლინიკა

სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მომსახურების ახალი ოფისი ქუთაისში!

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ ქუთაისში მომსახურების ახალი ოფისი გახსნა, სადაც გადამზიდველები ყველა საჭირო მომსახურებას მიიღებენ. ფილიალი უზრუნველყოფს საერთაშორისო საავტომობილო ერთჯერად სატვირთო გადაზიდვის ნებართვებთან დაკავშირებულ მომსახურებას, ასევე ტრანსპორტის უსაფრთხოების ორგანიზებისთვის განკუთვნილი დოკუმენტების მიღებასა და გაცემას.

ქუთაისის ოფისი რიგით მეოთხეა სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მომსახურების ცენტრებს შორის თბილისის, ბათუმისა და ფოთის შემდეგ. გადამზიდველები, რომლებიც იმერეთში საქმიანობენ, სააგენტოს მომსახურების მიღებას უფრო სწრაფად და კომფორტულად შეძლებენ.

სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო 2011 წლიდან ფუნქციონირებს. სააგენტოში ბოლო თვეებში განხორციელებული რეფორმების შედეგად გამარტივდა ნებართვების გაცემის წესი, ხოლო მომსახურების დრო შემცირდა

ლალი, სალომე, კოტე, გია ქავთარაძეები მწუხარებით იუწყებიან ღირსეული მამულიშვილის

ვასილ (ვასიკო) ქავთარაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები მწუხარებით იუწყებიან გამორჩეული და გამოჩენილი პიროვნების, საგვარეულოს ბრწყინვალე წარმომადგენლის

ვასილ (ვასიკო) ნიკოლოზის ძე ქავთარაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აბრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98. მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

დაიღუპა 20 წლის ბიჭი, რომელსაც ბათუმში მშენებლობიდან გადმოვარდნილი ხის ძელი დაეცა

ბათუმში, კლინიკაში გარდაიცვალა 20 წლის ბიჭი, რომელსაც 12 ივნისს, მშენებლობიდან გადმოვარდნილი ხის ძელი დაეცა. ინფორმაციას „ბათუმელები“ ავრცელებს.

ახალგაზრდა 11 ივლისს გარდაიცვალა. მძიმედ დაშავების შემდეგ, მას ნეიროქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა რეანიმაციულ განყოფილებაში დარჩა და გარდაცვალებამდე ხელოვნური სუნთქვის აპარატზე იყო მიერთებული. ტრაგიკული შემთხვევა კობალაძის ქუჩაზე მოხდა, სადაც კომპანია Ds გრუპი აშენებს მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსს.

ზღვის ლომები დამსვენებლებს აედევნენ

აშშ-ში, სამხრეთ კალიფორნიაში, სანაპიროზე მყოფმა ერთ-ერთმა ვიზიტორმა გადაიღო სახალისო ვიდეო, როგორ მისდევენ ზღვის ლომები დამსვენებლებს. თვითმხილველი ამბობს, რომ ზღვის ლომები დამსვენებლებს მას შემდეგ გაეკიდნენ, რაც სანაპიროზე მყოფმა ერთ-ერთმა ქალმა სცადა, მძინარე ზღვის ლომისთვის ვიდეო გადაეღო. საბოლოოდ, ზღვის ლომები წყალს დაუბრუნდნენ და არავისთვის ზიანი არ მიუყენებიათ.



კახა კალაძე და შვეიცარიელი ალეკ ფონი დაქმობილდნენ...

ბერლინში ოფიციალური ვიზიტით მყოფი თბილისის მერი კახა კალაძე ბერნის მერს, ალეკ ფონ გრაფენრიდს შეხვდა. თბილისი მერიის ცნობით, მხარეებმა ისაუბრეს საქართველო-შვეიცარიის ურთიერთობების საკითხებზე და ხაზი გაუსვეს თბილისსა და ბერნს შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ტრანსპორტის და ურბანული განვითარების კუთხით არსებულ გამოცდილებაზე, რაც ბერნს გააჩნია.

თბილისის მერმა კოლეგას მიაწოდა ინფორმაცია ამ მიმართულებით საქართველოს დედაქალაქში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ. შეხვედრაზე ხაზი გაესვა 23 ივნისს ევროპული საბჭოს მიერ მიღებულ ისტორიულ გადაწყვეტილებას და საქართველოს მტკიცე არჩევანს- დაუბრუნდეს ევროპულ ოჯახს. აღინიშნა, რომ შვეიცარიის ჩათვლით, ევროპულ სახელმწიფოებთან საქართველოს დაახლოება, ევროინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული წარმატებული ნაბიჯია.

ორმხრივი შეხვედრის დასრულების შემდეგ თბილისის და ბერნის მერებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს. ქალაქებს შორის ურთიერთობები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ურბანული განვითარება, ტრანსპორტი, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ტექნოლოგიები, განათლება, კულტურა და ტურიზმი. ბერნის მერიაში გამართულ ღონისძიებას ქართული მხრიდან თბილისის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია და შვეიცარიაში საქართველოს ელჩი რევაზ ლომინაძე დაესწრნენ.

ჩაქვში სარაგბო სტადიონის მშენებლობა იწყება

ჩაქვში სარაგბო სტადიონის მშენებლობა იწყება. პროექტის მშენებლობის დაწყება აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ რაგბის კავშირის პრეზიდენტთან ერთად დააანონსა. ჩაქვის თანამედროვე სტანდარტების სპორტულ მოედანზე 300 ადამიანზე გათვლილი ტრიბუნა მოეწყობა. პროექტით ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ოფისი, გასახდელები, პრესკონფერენციის სივრცე განთავსდება. პროექტის ღირებულება 4,6 მლნ ლარს შეადგენს.

აჭარაში სპორტული და სარაგბო ინფრასტრუქტურა აქტიურად ვითარდება. აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში ხორციელდება საფეხბურთო, სარაგბო სტადიონების, მოედნების, თუ სპორტკომპლექსების მშენებლობა. რეგიონს დიდი მიღწევები აქვს სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. რაგბის მოედნების მოწყობა მიმდინარეობს შუახევსა და ქობულეთშიც. დღეს ბათუმი ისტორიულ სარაგბო მატჩს მასპინძლობს. ბათუმში ბოლო სამი დღის განმავლობაში სხვადასხვა გასართობი ღონისძიებით დატვირთული სარაგბო ზეიმი მიმდინარეობდა.

ბიძინა კულუმბეგოვი: ქვეყანაში გვაქვს უნიკალური პრეპარატი „პაქსლოვიდი“, რომელიც რისკის მქონე ადამიანებმა უნდა მიიღონ!..

მისი თქმით, სხვა ვირუსებისგან, რომელიც რესპირაციულ, ანუ სასუნთქი სისტემის დაავადებებს იწვევენ, მათგან კოვიდის განსხვავება სიმპტომებით პრაქტიკულად შეუძლებელია.

„ერთადერთი განმასხვავებელი საშუალება არის მხოლოდ ტესტირებით კორონავირუსის იდენტიფიცირების შესაძლებლობა. რისკის მქონე ადამიანებმა, ვისაც აქვს 65 წელზე მეტი ასაკი ან ნებისმიერი ქრონიკული დაავადება, დადასტურების შემთხვევაში, კოვიდის წინააღმდეგ ქვეყანაში გვაქვს უნიკალური პრეპარატი „პაქსლოვიდი“, რომელიც დადასტურებიდან პირველ ხუთ დღეში უნდა მიიღოს ადამიანმა“, — აღნიშნა ბიძინა კულუმბეგოვმა.

დოლარი ევროს გაუთანაბრდა

ბოლო 20 წელიწადში პირველად, დოლარისა და ევროს კურსი გათანაბრდა. აშშ დოლართან მიმართებით ევრო 1,29%-ით დაეცა და ერთი ევროს ღირებულებამ 1,0056 დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 2002 წლის დეკემბრის შემდეგ.

ევროსთან მიმართებით, გაძვირდა დოლარი — Bloomberg-ის ამჟამინდელი მონაცემით, ერთი დოლარის ღირებულება 0.9928 ევროა.

ჩვენი სამყაროს ყველაზე ღრმა ხედი

ნასამ „ჯეიმს ვების“ ტელესკოპის მიერ გადაღებული პირველი სრულყოფილი ფოტო გამოაქვეყნა. ეს არის „ჩვენი სამყაროს ყველაზე ღრმა ხედი, რაც კი ოდესმე გადაუღია კაცობრიობას“. „ჯეიმს ვების“ კოსმოსური ტელესკოპის პირველი ფოტო შორეული სამყაროს ყველაზე ღრმა და მკვეთრი ინფრაწითელი სურათია ამ დროისათვის.

ფოტო თეთრ სახლში გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, ვიცე-პრეზიდენტმა კამალა ჰარისმა და ნასას ხელმძღვანელმა ბილ ნელსონმა წარმოადგინეს.

იყიდება ერთსახლიანი კუნძული

აშშ-ში, უოჰოიას ყურეში მდებარე კუნძული იყიდება. კუნძულის ფართობი 6 ათასი კვადრატული მეტრია, მისი ღირებულება კი $339 ათასი. კუნძულის მფლობელი, 52 წლის ბილი მილიკენი ამბობს, რომ კუნძულზე შეიძლება ქალაქის „სინათლისა და ხმაურისგან“ სრული იზოლირება და კუნძულს მხოლოდ იმას მიჰყიდის, ვინც კუნძულზე ღამეს გაატარებს და მისადმი სიყვარულს გამოამჟღავნებს. ასეთი პირობა კუნძულზე წყალმომარაგებისა და გათბობის არარსებობით არის განპირობებული.

ამასთან, ცუდი ამინდის გამო, ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით, კუნძულზე ყოფნა შეუძლებელია. კუნძულზე არც ერთი ხე არ არის, რის გამოც ოკეანეზე მშვენიერი ხედი იშლება. ამასთან, წყალთან სიახლოვე შტორმის დროს დატბორვის საშიშროებას ზრდის.

„წყალმა სამჯერ მოაღწია კოტეჯამდე, მაგრამ ის ბოძებზე დგას, ამიტომ არ დაზიანებულა“, — განაცხადა მილიკენმა.

შოტლანდიური ვისკის კასრი რეკორდულ ფასად გაიყიდა

შოტლანდიური ვისკის კასრი რეკორდულ ფასად — 16 მილიონ ევროდ გაიყიდა. ვისკი 1975 წელს, კუნძულ აილეიზე, კომპანია „არდბერგის“ მიერ არის წარმოებული. მყიდველის ვინაობა არ საჯაროვდება, თუმცა ცნობილია, რომ ის მდედრობითი სქესის აზიელი კოლექციონერია. კასრში არსებული ვისკი საკმარისია 440 ბოთლის შესავსებად, თითოეულის ფასი კი 36 000 ევრო იქნება. მომდევნო 5 წლის განმავლობაში მყიდველი ყოველწლიურად 88 ბოთლს მიიღებს.

წინა რეკორდი 2022 წლის ივნისში დამყარდა, როდესაც ამერიკელმა კოლექციონერმა 1988 წელს წარმოებული შოტლანდიური ვისკის Macallan-ის კასრში 1 მილიონი ევრო გადაიხადა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟურნალ-გაზეთი №170

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 15 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8830; ევრო - 2.9156
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4472;
100 რუბლი - 4.5856; თურქული ლირა - 0.1659;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7013;
1000 სომხური დრამი - 7.0061.

ამინდი 13 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+38
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+31
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge